# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 9 აგვისტო 2008 №183 (3407) ფასი 50 თეთრი


# ომია სისხლია რუსია



## ერთი და მარტო მსოფლიო ჭირთან საქართველო თუ მარტო დარჩა, ევროპა RUSSIA



ჩვენი მედროშე რამაზ ნოზაძე



**კახა გურიძე**

*პეკინიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“*

**მოსალოდნელია** ნალექი დიდი რაოდენობით, ხოლო ტემპერატურა დღის განმავლობაში 24 გრადუსს არ აღემატება — ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდეს გუშინ დილით სასტუმრო „ტაივან ოტელში“. „ძალიან ცუდი იქნება თუ იწვიმებს, ამ დღეს ყველანი ამდენი წელი ველოდით“ — ეუბნება ლიტველი ჟურნალისტი სასტუმროს ჰოლში ბრაზილიელ კოლეგას. „იმედია, განწყობა არ გაგვიფუჭდება“ — პასუხობს ბრაზილიელი...

ქუჩაში ადუღებული ჰაერი შემომეფეთა, სუნთქვა ჭირს. ფაქტია, რომ 24 გრადუსზე გაცილებით მაღალი ტემპერატურაა.

გახსნის ცერემონიალამდე საკმაო დროა და ქალაქში გავლა გადავწყვიტე. ქალაქის რუკას ჩავხედე და აღმოვაჩინე, რომ პეკინის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობანი, ტიენ მენის მოედანი და „აკრძალული ქალაქი“, სადაც ჩინეთის იმპერატორები ცხოვრობდნენ, ჩემი სასტუმროდან არც თუ ისე შორსაა.

ამბობენ, ტიენ მენის მოედანზე მილიონი ადამიანი ეტევაო. ნამდვილად არ დამითვლია, მაგრამ იქ მისულს აურაცხელი ადამიანი დამხვდა, ძირითადად, ბუნებრივია, ტურისტები ჭარბობდნენ.

„აკრძალული ქალაქი“ მართლაც რომ საოცრებაა, ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია — ეს უნდა ნახო. ეს არის უზარმაზარი ტერიტორია, ტრადიციული ჩინური სასახლეებით, ბაღებით, მუზეუმებით. სწორედ აქ არის გადაღებული ბერნანდო ბერტოლუჩის ცნობილი ფილმი „უკანასკნელი იმპერატორი“.

მოკლედ, დილით ერთი საოცრება ვნახე, სალამოს კი გრანდიოზული შოუ, უკეთესი დღე რაღა გინდა კაცს...

... 17-მილიონიანი პეკინი ოლიმპიადის მოლოდინით ცოცხლობს. ყველგან — მაღაზიებში, კაფეებში, რესტორნებში, ტრანსპორტში, ქუჩაში, იგრძნობა, რომ ჩინელთათვის ამ გრანდიოზული სპორტული ფორუმის მასპინძლობა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. რამდენიმე კაფესა თუ მაღაზიაში სპეციალური საათიც იყო, რომელიც პეკინის ოლიმპიადის გახსნამდე დარჩენილ დროს ითვლიდა. სხვათა შორის, გახსნამდე 2 საათით ადრე პეკინის საერთაშორისო აეროპორტში როგორც მიღება, ისე გაფრენაც აიკრძალა. ცხადია, უსაფრთხოების ზომების დაცვიდან გამომდინარე.

... იაო მინი, ვინაც გახსნის ცერემონიალზე მასპინძელთა მედროშე იყო, თავის ქვეყანაში უსაზღვროდ პოპულარული ადამიანია. ქუჩაში მის ბანერებს ხშირად შეხვდებით და, არა მხოლოდ ოლიმპიადასთან დაკავშირებით. როგორც მითხრეს, ეს კალათბურთელი აქ ძალიან უყვართ, თუმცა არა მგონია, მაო ძედუნს აჯობოს. ვიცოდი, რომ ძედუნს ჩინელები აღმერთებდნენ, მაგრამ ფულის ყველანაირ კუპიურაზე თუ მხოლოდ ის იქნებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არნახული

გამოსახული, არ ველოდი. ერთადერთი, ახლახან საოლიმპიადოდ გამოშვებულ 10-იუანიანზე არის ოლიმპიური სტადიონი „ჩიტის ბუდე“...

გახსნის საზეიმო ცერემონიალის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ალბათ, ბევრმა ქართველმა გულშემატკივარმა უყურა, ამიტომაც მისი აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ. ქების გარდა ორგანიზატორებისთვის რა გვეთქმის, რაკიღა არნახული სანახაობა დადგეს და ამ სტრიქონებსაც ჯერ კიდევ ემოციებით დამუხტული ვწერ.

... სამართლიანი თამაშების პრინციპების ფიცი ჩინელმა მაგიდის ჩოგბურთელმა დადო, მსაჯთა სახელით კი მიუკერძოებლობაზე ტანმოვარჯიშეთა რეფერიმ დაიფიცა.

განსაკუთრებით ამაღელვებელი და ორიგინალური კი, რა გასაკვირია ოლიმპიური ცეცხლის ანთების ცერემონიალი იყო, რომელიც სპორტულ ტანვარჯიშში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლიი ნიინგმა დაანთო.

... დღეს კი პირველი საშეჯიბრო დღეა, რომელსაც ქართველთათვის ნესტორ ხერგიანი ხსნის. სამწუხაროდ, მას კენჭისყრაში არ გაუმართლა და პირველივე წრეში საკმაოდ ძლიერ ფრანგ დრაგინს ხვდება, თუმცა ოლიმპიადაზე, რომ სუსტი მეტოქეები არ არსებობენ, ესეც ნათელია. ხერგიანი ძალზე გამოცდილი ათლეტია და კარგ სპორტულ ფორმაშიც არის, ამიტომაც შესაძლოა... თუმცა მოდით მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ.

დღესვე იასპარეზებს გეორ-გია, რომელთა მეტოქეც ავსტრალიური დუეტია და სასტარტო მატჩში უცილობელი მოგებაა საჭირო, რათა ჯგუფიდან გასვლის შანსი არ შემცირდეს.

ასევე, ბედს ცდის სპორტული ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე.

იმედია, დღის ბოლოს შედეგების თვალსაზრისით ცუდ გუნებაზე არ ვიქნებით, თორემ ზოგადად, პეკინში მყოფი ქართველები დაზაფრულები ვართ. ინფორმაციამ, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტისა და დაძაბულობის შესახებ, გუშინ ნაშუადღევს ჩვენამდეც ჩამოაღწია, რამაც ბუნებრივია, უსიამოვნო განწყობა შემოიტანა ქართულ დელეგაციაში. ცხადია, ვერც საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი მოხერხდა პეკინში, პირველი ლედი კი გუშინ დილით ჩამოფრინდა.

... ცერემონიალიდან პრეს-ცენტრში მობრუნებულს ერთი ვოლონტიორი გამომელაპარაკა. აინტერესებდა, თუ რამდენად მომეწონა გახსნის ზეიმი. რა თქმა უნდა, აღფრთოვანება ვერ დავფარე, მან კი ჩემს სააკრედიტაციო ბარათს დახედა და გაბადრული სახით მითხრა: I LOVE MICHAEL JORDAN. როდესაც ავუხსენი, საქართველო სხვა ქვეყანა-მეთქი, ისევ გაიბადრა და, თქვენს ენაზე ერთი სიტყვა ვიციო — „სპასიბა“.

ჰო, კიდევ ერთი — გუშინ პეკინში წვიმა არ ყოფილა და ლიტველი და ბრაზილიელი კოლეგებიც, ალბათ, შვებით ამოისუნთქებდნენ...



ოლიმპიური ჩირაღდანი ჰაერში დაინთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრავალსახოვანი

## აკადემიური ნიჩბოსნობა



ორ და ცალნიჩაბა ნავებით შეჯიბრი ერთობ ლაზათიანი სახეობაა, რომელიც 1900 წლიდანაა ოლიმპიადებზე და კანოეთი წვალებას ნამდვილად სჯობს. ყველაზე პოპულარულად ითვლება რვაკაციანი ცალნიჩაბა ნავებით შეჯიბრი, რაშიც ბოლო ხანს ბრიტანელები და მათი ყოფილი კოლონიები მარჯვობენ. კანოეს მსგავსად, შინუის პარკში იმართება 9-17 აგვისტოს. ბოლო ორ დღეში მედლების ერთბაშად 14 კომპლექტი გათამაშდება.

## აფროსნობა



ადამიანები უხსოვარი დროიდან ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს აფრიანი გემებით და აფროსნობაც პირველივე ოლიმპიადაზე შეიტანეს პროგრამაში. ამ სპორტს უამრავი სახეობა აქვს, რომლებიც დისტანციების და ნავების წყალწყვის მიხედვით კლასიფიცირდებიან. ამ ოლიმპიადაზე, რომელშიც აფროსნები ერთმანეთს არა პეკინში (იქ ხომ ზღვა არაა), არამედ ყვითელი ზღვისპირა ქალაქ ცინდაოს წყლებში ეჯიბრებიან — მედლების 11 კომპლექტს გაათამაშებენ.

## ბადმინტონი



ჩვენში ზაფხულის გასართობი თამაშობა აღმოსავლეთის ქვეყნებში სერიოზულ სპორტად ითვლება და დანარჩენმა მსოფლიომ ხალხის გამოწვრთნა 1992 წლიდან დაიწყო, როცა ბადმინტონი ოლიმპიურ სახეობად ჩამოყალიბდა.

თამაშობენ საჩოგბურთოს და საფრენბურთოს მსგავს 13,4 მეტრი სიგრძის მოედანზე, კაცთა და ქალთა ერთეულები და წყვილები. აგრეთვე შერეული წყვილებიც. ოქროებს ძირითადად ჩინელები, ინდონეზიელები და კორეელები იგებენ. ახლა მოსალოდნელია მასპინძელთა სრული დომინაცია.

## ბაიდარა – კანოე



ზოგჯერ ორ ცალკეულ სახეობადაც ჰყოფენ და არსით კიდეც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კანოე ცალმოსასმელიანი ნიჩბით იმართება. ბაიდარას კი წყვილნიჩბიანი მოსასმელით მართავს ნავში ღრმად ჩამჯდარი სპორტსმენი. ესენი მდორე წყალში სწორ დისტანციაზე ეჯიბრებიან ერთმანეთს (თამაშდება მედლების 12 კომპლექტი). არის კიდევ განსხვავებული სახეობაც, სანიჩბოსნო სლალომი, რომელშიც აქაფებულ ჩქერში ეჯიბრებიან ერთმანეთს. აქ მედლების 4 კომპლექტი თამაშდება.

## ბალახის ჰოკეი



მუღამით აბა რას მიუვა უფროს ძმა ყინულის ჰოკეის, მაგრამ არის ქვეყნები, სადაც ბურთს ყვანჯით ბალახზე დიდი გატაცებით დასდევენ და პროგრამაშიც კაცთა შეჯიბრი 1908 წლიდან წერია, ქალები კი 1980 წლიდან მიიღეს.

შეჯიბრი 10-23 აგვისტოს ოლიმპიურ მწვანე მინდორზე იმართება. მონაწილეობს ორივე სქესის წარმომადგენელი 12-12 ნაკრები.

## ბეისბოლი



უძველესი ბრიტანული კრიკეტის გვარიანად შეცვლილი სახესხვაობა, თუმცაღა გასაკვირია, რომ ოლიმპიადებზე ბეისბოლს თამაშობენ და არა კრიკეტს. თამაშობენ უწახნაგო კეტითა და ჩოგბურთის ბურთის ხელა, ოღონდ გაცილებით მძიმე ბურთით. ოლიმპიადებზე 1992 წლიდან დაუშვეს და ძირითადად კუბელები იგებდნენ, რაკი მშობელ ამერიკელებს მოყვარულ „ლათინოსებთან" პროფესიონალებით შეჭიდება ეთაკილებოდათ. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2012 წლის თამაშების პროგრამიდან ამოაგდო, ასე რომ ამ ოლიმპიადაზე ბეისბოლი უკანასკნელად ჩათამაშდება. მონაწილეობს რვა გუნდი.

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



ჭიდაობის უძველესი სახეობა, რომელიც ანტიკური ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ სახე გახლდათ და ბერძნებმა რაღა თქმა უნდა 1896 წელს პირველივე თამაშებზე გააქტიურეს. მკაცრად განსაზღვრული წესები აქვს, იკრძალება ხელის ჩავლება წელსქვემოთ და ხშირ შემთხვევაში სანახავად უგემურია, ამის გამო პროგრამიდან მის ამოღებაზეც საუბრობდნენ, თუმც ჯერჯერობით დატოვეს, რაც ქართველებს ხელს გვაძლევს, რაკიღა ტრადიციულად ყოველ ოლიმპიადაზე ძლიერ გუნდს ვაგზავნით. ძიუდოს დარად აქაც შვიდი წონაა, რომელშიც მედლები 12-14 აგვისტოს გათამაშდება. ქართველებს ხუთ წონაში გვყავს კაცი — ლაშა გოგიტიძე (55 კგ, 12 აგვისტო), დავით ბედინაძე (66კგ, 12 აგვისტო), მანუჩარ კვირკველია (74 კგ, 13 აგვისტო), ბადრი ხასაია (84 კგ, 14 აგვისტოს) და რამაზ ნოზაძე (96 კგ, 14 გავისტო).

## ველოსპორტი



რკინის ორთვალებით სრბოლა სხვადასხვა საფარზე და დისტანციაზე. მოიცავს ტრეკზე ანუ დახრილ ოვალზე წამზომთან და მეტოქესთან შეჯიბრს (თამაშდება მედლების 10 კომპლექტი), გზატკეცილზე გამოდევნებით და ჩვეულებრივ შეჯიბრს (4 კომპლექტი), მაუნტიბაიკს ანუ მთების ოღროჩოღროეში რბოლას (2 კომპლექტი) და BMX შეჯიბრს, ანუ ხელოვნურად შექმნილ წინაღობებზე დარბაზში გიჟურ გაჯიბრებას (2 კომპლექტი). ეს უკანასკნელი ოლიმპიადების ისტორიაში პირველად სწორედ პეკინში გამოჩნდება და ვნახოთ, რა ხვითოცაა. შეჯიბრებები ტარდება პეკინის გარეუბან ლაო შანში ტრეკზე, მთებზე და BMX დარბაზში. ხოლო საგზატკეცილო რბოლას პეკინის ქუჩები „პირადად" უმასპინძლებენ.

## თავისუფალი ჭიდაობა



ბერძნულ-რომაულისგან შედარებით უფრო სახალისოდ საჭიდაოა და იმპროვიზაციის მეტი შესაძლებლობა აქვს. ქართველებს აქაც გვარიანი შედეგები დაგვიგროვდა 1952 წლის შემდეგ და თუ გაგვიმართლა, მედალს ჩვენი თავისუფლებისგანაც ვიხილავთ. აქაც 5 კაცი გვყავს — ბესარიონ გუჩაშვილი (55კგ, 19 აგვისტო), ოთარ თუშიშვილი (66კგ, 20 აგვისტო), გელა სალირაშვილი (74კგ, 20 აგვისტო), რევაზ მინდორაშვილი (84კგ, 21 აგვისტო) და გიორგი გოგშელიძე (96კგ, 21 აგვისტო).

## თანამედროვე ხუთჭიდი



მრავალწახნაგა სახეობა, რომელიც აერთიანებს ხუთ დისციპლინას — ცურვას, ტყვიის სროლას, სირბილს, ცხენოსნობასა და ფარიკაობას. სხვანაირად ოფიცერთა სპორტსაც უწოდებენ. შეჯიბრი ტარდება ხუთივე სახეობაში და ქულათა დაჯამებით დგინდება უკეთეს-უარესი. შეჯიბრება სხვადასხვა წერტილებში გაიმართება და ერთ დღეში გამოავლენს უძლიერეს ხუთჭიდელ კაცსა და ქალს.

## კალათბურთი



ფეხბურთის შემდეგ ალბათ ყველაზე პოპულარული თამაში, რომელმაც 1992 წლიდან, ანუ ოლიმპიადებზე ამერიკელ პროფესიონალთა გამოსვლიდან განსაკუთრებული ხიბლი და ინტრიგა შეიძინა, თუმცაღა პირველად 1936 წლის ბერლინის თამაშებში გამოჩნდა.

კალათბურთში წესთა ორი კრებული არსებობს — ამერიკული (შემტევი და ეშხიანი) და ევროპული (დაცვითი და ჩახურული). ოლიმპიადაზე ევროპული ანუ ფიბა-ს წესრიგით თამაშობენ. ამერიკელთა ბოლოდროინდელი ჩავარდნა, მათ შორის 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე, ხშირად განსხვავებული წესებთან შეუგუებლობას ბრალდება.

ოლიმპიადაზე კაცებშიც და ქალებშიც წარმოდგენილია 12-12 ნაკრები, რომლებიც ორ-ორ ჯგუფში არიან გადანაწილებულები და პლეიოფს მეოთხედფინალიდან იწყებენ. კაცთა შორის ძლიერი გუნდები ჰყავთ თავისთავად ამერიკელებს და ოლიმპიურ კვალიფიკაციის გამვლელ ყველა ევროპულ გუნდს, პლიუს მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონ არგენტინას.

## კრივი



მთელ მსოფლიოში უძველესი დროიდან გავრცელებული ორთაბრძოლა, რომელიც არსებითად ერთი კაცის მიერ მეორეს გალახვას გულისხმობს და მშვიდობიან ოლიმპიურ ჩარჩოში ჩაჯდომა უჭირს, მაგრამ ამის მიუხედავად 1904 წლიდანაა თამაშებზე. ოლიმპიური კრივი მოიცავს 11 წონით კატეგორიას (მხოლოდ კაცებში) და მხოლოდ მოყვარულ მოკრივეებს რთავს ოლიმპიურ რინგზე გასვლის ნებას. ტრადიციულად ძლიერი მოკრივეები ჰყავთ კუბელებს, რუსებს და ამერიკელებს, მაგრამ სახეობის პოპულარულობაზე ისიც მეტყველებს, რომ ოქროს მედალი კიდევ 35 ქვეყნის წარმომადგენლებს მოუგიათ.

პეკინში კრივი გაიმართება „მუშათა დარბაზში", 9-24 აგვისტოს. საქართველო პეკინის რინგზე ორი მოკრივითაა წარდგენილი — 69 კილოგრამამდე წონაში კახაბერ ჟვანია (იწყებს 10 აგვისტოს) და 57 კილოგრამამდე წონაში ნიკოლოზ იზორია (იწყებს 11 აგვისტოს).

## მშვილდოსნობა



როგორც საომარი კულტურის ნაწილი, სპორტად უძველესი დროიდენ ჩამოყალიბდა, ოლიმპიადაზე კი 1900 წლიდან დაუშვეს. იცვლებოდა ისრის სროლის მანძილი, რომელიც დღეს 70 მეტრს შეადგენს. ქალები და ვაჟები ინდივიდუალურ და გუნდურ შეჯიბრში 10-15 აგვისტოს მედლების ოთხ კომპლექტს გაათამაშებენ. პეკინის ოლიმპიური პარკის მშვილდოსნობის მწვანე მინდორზე. პეკინში ქართველებს ორი მშვილდოსანი ქალი გვყავს — ქრისტინე ესებუა და ხათუნა ნარიმანიძე, რომლებიც 12 აგვისტოს ოცდამეთორმეტედფინალიდან ჩაერთვებიან შეჯიბრში.

## მძლეოსნობა



სისწრაფე, ძალა, მოქნილობა, ამტანობა. სპორტის უდავოდ უძველესი და ერთ-ერთი ულამაზესი სახეობა, ან, უფრო ზუსტად, სახეობათა კრებული, სპორტის დედოფალი და ოლიმპიადების მშვენება.

როგორც თამაშების ერთ-ერთი უმთავრესი სანახაობა, ისე მოსდევს ოლიმპიადებს 1896 წლიდან დღემდე. პეკინში დაგეგმილია მედლების 47 კომპლექტის გათამაშება სხვადასხვა დისტანციებზე სირბილში, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომებში, სროლა-ტყორცნებსა და სპორტულ სიარულში და დისციპლინათა სიმრავლის გამო მძლეოსნობაში გუნდური გამარჯვება ოლიმპიადაზე საერთო ჩათვლის მოგების გასაღებიცაა.

კაცები და ქალების სახეობები არსებითად არ განსხვავდება, თუ არ ჩავთვლით სასროლი ინვენტარის მცირედ სხვაობას წონაში. კაცები 110 მეტრ თარჯრბენს დარბიან, ქალებში კი ამ დისციპლინის დისტანცია 100 მეტრამდეა შეკვეცილი. ქალები არ „დადიან" 50 კილომეტრზე და ამიტომ მათ ერთი დისციპლინით ნაკლები გამოსდით. მრავალჭიდებში კაცები ერთმანეთს ათ განცალკევებულ დისციპლინაში ეჯიბრებიან (დეკატლონი), ქალთა შორის კი დისციპლინათა რიცხვი შვიდამდეა შემცირებული.

სამძლეოსნო შეჯიბრთა აბსოლუტურ უმრავლესობას უმასპინძლებს მთავარი ოლიმპიური ნაგებობა, ჩინელთა სიამაყე, „ჩიტის ბუდედ" წოდებული ეროვნული სტადიონი, რომელზეც გუშინ ასე ლამაზად გაიხსნა 29-ე ოლიმპიური თამაშები. შეჯიბრი გაიმართება ბოლო 10 დღეს ანუ 15-24 აგვისტოს. მთავარ ფავორიტებად ტრადიციულად ამერიკელები მიიჩნევიან, რომელთაც ძირითადად სპრინტერულ ანუ მოკლე დისტანციებზე ჰყავთ მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნები.

ქართველებს პეკინში ორი მძლეოსანი გვყავს — 110 მეტრ თარჯრბენში დავით ილარიანი (იწყებს 18 აგვისტოს) და ბირთვის მკვრელი მარიამ ქევხიშვილი (იწყებს 16 აგვისტოს).

## მაგიდის ჩოგბურთი



მასპინძელთა ეროვნული სიამაყე და ერთ-ერთი დასაყრდენი წყალში ხტომასთან, ბადმინტონსა და ტანვარჯიშთან ერთად. ოთხი კომპლექტი თამაშდება და ჩინელებს ოთხივეზე აქვთ დადგმული თვალი ქალებში და კაცებში, ერთეულებსა და წყვილებში. 13-23 აგვისტოს პეკინის უნივერსიტეტის დარბაზს ჩინელთა ზღვა მიაწყდება და ნამდვილ ჩოგბურთელებს ამ თამაშებზე მაინც დაჩრდილავს ეს პინგპონგა სახეობა.

## პლაჟის ფრენბურთი



ფრენბურთის შედარებით ახალი სახესხვაობა, რომელსაც ქვიშაზე ორკაციანი გუნდები თამაშობენ და ტრადიციულად ემარჯვებათ ზღვისპირა ხალხებს, მაგალითად ბრაზილიელებს. ჩვენცა გვყავს „ჩვენი" ბრაზილიელები — კაცი წყვილი გეორ და გია (რენატო და ჟორჟი) და ქალები — საქა და რთველო (ქრისტინა და ანდრეზა), რომლებიც საქართველოს სახელით გამოვლენ ჩაოიანგის პარკის ოლიმპიურ ქვიშაზე. ორივე წყვილი დღეს, 9 აგვისტოს იწყებს თამაშს. სულ ქალებშიც და კაცებშიც 24-24 წყვილი იბრძოლებს მედლების ორ კომპლექტისთვის.

## სინქრონული ცურვა



აკვა-ცენტრის კიდევ ერთი სტუმარი, საწყლოსნო სახეობა ქალებისთვის. შეჯიბრება გულისხმობს მუსიკის თანხლებით წყალში აკრობატიული ფიგურების შესრულებას. თა-

# ოლიმპიადა

მაშდება მედლების ორი კომპლექტი წყვილთა და გუნდურ სახეობებში. სინქრონული ცურვა ოლიმპიურ პროგრამაში მოგვიანებით, 1984 წლიდან ჩაწერეს და მას შემდეგ ოქროებს საბჭოელი რუსები, ამერიკელები ან კანადელები იგებენ. ფინალები 20 და 23 აგვისტოსაა დათქმული.

## სოფტბოლი



ბეისბოლის შერბილებული სახეობა ქალთათვის, რომელიც 12-21 აგვისტოს ფენგტაოს სოფტბოლის მინდორზე გაიმართება რვა გუნდს შორის და უფროს ძმა ბეისბოლის დარად პეკინში დაასრულებს თავის ულიმღამო ოლიმპიურ სიცოცხლეს.

## ტაეკვანდო



კორეული საბრძოლო ხელოვნება, რომელიც გასულ საუკუნეში სპორტად იქცა, მის სულ ბოლო წელს, 2000-ში სიდნეის ოლიმპიადაზეც გამოჩნდა და ყველას მალევე მოაწონა თავი, მიუხედავად იმისა, რომ მისი არსი მეტოქისთვის ფეხით თავში ცემაშია.

გაიმართება პეკინის მეცნიერების და ტექნოლოგიების ინსტიტუტის დარბაზში 20-23 აგვისტოს და თითოეულ დღეს ორ-ორი (სულ რვა) კომპლექტი თანაბრად გათამაშდება კაცებსა და ქალებში.

## ტანვარჯიში



საცქერლად რიგიანი სპორტია, მაგრამ ისევე როგორც ჟიურის მიერ გამკარგველ სხვა სახეობებში, მიუჩვეველი თვალისთვის აქაც არაა იოლი უკეთესის და უარესის გარჩევა. ოლიმპიური ტანვარჯიში მოიცავს სამ მიმართულებას, რომლებიც არც ის გაგიკვირდეთ, თუ ცალ-ცალკე შეგვხვდათ — მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული ტანვარჯიში და ბატუტზე ხტომა. ეს უკანასკნელი ოლიმპიადებზე ახალი ხილია — 2000 წლის გაფართოებაზე მიიღეს. ქართველებს გვყავს ამ სახეობაში ჩვენი წარმომადგენელი — ლუბა გოლოვინა, რომელიც 18 აგვისტოს იწყებს და ამთავრებს გამოსვლას, იმედია მედლით.

მხატვრულად ტანმოვარჯიშენი 21 აგვისტოს იწყებენ და 24-ში ამთავრებენ (უქართველებოდ). მათთან ორი კომპლექტი თამაშდება.

სპორტულად ტანმოვარჯიშეებში კი კაცთა და ქალთა შორის 14 კომპლექტი თამაშდება და აქ კი გვყავს ჩვენი კაცი — ილია გიორგაძე, ვინაც 9 აგვისტოს თავისუფალი პროგრამით და ტაიჭზე შეასრულებს ვარჯიშებს, 17 აგვისტოს კი ფინალია.

## ტრიატლონი



სპორტის კომპლექსური და ერთ-ერთი ურთულესი სახეობა, რომელიც აერთიანებს ველორბოლას, ცურვასა და სირბილს ერთდროულად და შეუსვენებლად. პროგრამაში 2000 წლიდან ჩართეს კაცებშიც და ქალებშიც. რამდენიმე საათი გრძელდება და ერთ დღეში მთავრდება. სპორტსმენები იწყებენ 1500 მეტრზე ცურვით, შემდეგ წყლიდან ამოსულები ველოსიპედებს დაეტაკებიან და 40 კილომეტრს ასე ფარავენ, ბოლოს კი ჩამოქვეითებულებს 10-კილომეტრიანი გზის ფეხით გალევა უწევთ.

## ტყვიის სროლა



ადამიანები ტყვიას ისვრიან კარგა ხანია და პირველივე ოლიმპიადიდან. თანამედროვე თამაშებზე კაცები და ქალები სამ სახეობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს — თოფით, პნევმატური პისტოლეტით და სპორტული პისტოლეტით მიზანში სროლაში.

სახეობა პოპულარულია კაცებშიც (გათამაშდება მედლების 9 კომპლექტი) და ქალებშიც (6 კომპლექტი).

შეჯიბრი გაიმართება 9-17 აგვისტოს და ჩვენ როგორც ყოველთვის, ახლაც უნდა ვუქომაგოთ 1988 წლის თამაშების ჩემპიონ ნინო სალუქვაძეს, რომელიც 10 აგვისტოს იწყებს 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეთის სროლას და 13 აგვისტოს ამთავრებს 25 მეტრზე სპორტული პისტოლეტით სროლით.

## ფარიკაობა



მე-19 საუკუნის ბოლოს კარგ ხალხს ოლიმპიადების განახლების მადლიანი იდეა რომ დაებადათ, იმხანად მთელი მსოფლიო ისე გაცხარებით ფარიკაობდა, რომ ეს სახეობა პატივით მიიღეს საინაგურაციო თამაშებზე და მას შემდეგ აქამდე მოდის, მიუხედავად იმისა, რომ პოპულარობის მოსასხამი გვარიანად გასცრეცია. ქვესახეობა სამია — დაშნით, რაპირით და ხმლით ფარიკაობა, მედლები კი კაცებსა და ქალებში ერთბაშად 10 გათამაშდება, როგორც ინდივიდუალურ ისე გუნდურ კვეთებაში. 9-17 აგვისტოს, რა გასაკვირია და წარსულის ოლიმპიადებისგან განსხვავებით, ქართველთა გარეშე.

## ფეხბურთი



ფეხბურთი რაღა თქმა უნდა, სპორტის მონარქი და დამპყრობია, მაგრამ ოლიამიადაზე ის იმდენად მცირე დოზითაა წარმოდგენილი, რომ ბევრ სახეობას „ეჩაგვრინება“. 23-წლამდელთა გუნდებს სამ-სამი დაღვინებული მობურთალი ემატებათ. თუმცა ფეხბურთი ისე არ დაეცემა, ბაიდარას ოდენა ვერ ზიდოსო, ხომ გაგიგონიათ.

კაცები 1900 წლის ოლიმპიადიდან მოყოლებული თამაშობენ, ქალები კი მხოლოდ 1996 წელს შეიპატიჟეს. კაცებში 16 ნაკრები იბრძვის მედლებისთვის, ქალები მხოლოდ 12 გუნდით თამაშობენ. სხვათა შორის ფეხბურთელებმა თავიანთი ბურთის გორება ოლიმპიადის გახსნიდან ორი დღით ადრე დაიწყეს, რაც უნდა იყოს, დასვენება სხვებზე მეტად სჭირდებათ. თამაშობენ ხუთ ქალაქში — შანხაიში, შენიანში, ტიანცინში, ჩინპუნდაუში და პეკინში ხომ თავისთავად.

## ფრენბურთი



საბჭოთა კავშირში გვარიანად პოპულარული თამაში ბურთით და ბადით. თამაშობენ 6-კაციანი გუნდები, რომლებიც პეკინში ქალებშიც და კაცებშიც 12-12 შეგროვილან. ოლიმპიადაზე 1964 წლიდან დაუშვეს ორივე სქესი და მას მერე თამაშების მშვენებაა სხვა ტრადიციულ ბურთაობებთან ერთად. შეჯიბრი მთელი ოლიმპიადის განმავლობაში 9-24 აგვისტოზეა გაშლილი და გაიმართება დედაქალაქის საფრენბურთო და პეკინის ტექნოლოგიების ინსტიტუტის დარბაზებში.

## ჩოგბურთი



ბურთაობა, ოღონდ ძირითადად ინდივიდუალური. თამაშობენ წყვილებიც, მაგრამ მათ შეჯიბრს კარგა ხანია პოპულარობა დაუკარგავს. საზოგადოდ ბოლო ოლიმპიადებზე მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები კანტიკუნტად ჩადიოდნენ და თავსაც არ იკლავდნენ, რის გამოც მათ შეხლებს ოლიმპიური სიმწვავე აკლდათ. თუმც წლეულს პეკინში დიდი ბატალიებია მოსალოდნელი.

მედლები თამაშდება ქალთა და კაცთა ერთეულებში და წყვილებში. ერთეულებში შეჯიბრი 1/32-ფინალიდან იწყება, წყვილებში კი 1/16-ფინალიდან. სახეობას მასპინძლობენ ოლიმპიური მწვანე საჩოგბურთო ცენტრის ჰარდსაფარიანი კორტები.

## ცურვა



სპორტის ერთ-ერთი უძველესი და ფუნდამენტალური სახეობა ოლიმპიურ პროგრამაში პირველივე თამაშებიდან ზის. თანამედროვე ცურვა მოიცავს ოთხ სტილს — თავისუფალი (კროლი), გულაღმა (ზურგზე), ბრასი და ბატერფლაი. შეჯიბრი იმართება 50-მეტრიან აუზში 50-დან 1500 მეტრამდე დისტანციებზე და უნდა გათამაშებულიყო მედლების 32 კომპლექტი, მაგრამ პეკინის თამაშების პროგრამაში პირველად შეიტანეს თავისფალი სტილით მარათონული, 10-კილომეტრიან დისტანციაზე ცურვა, რომელიც ღია ცის ქვეშ გაშლილ წყალში იმართება კაცთა და ქალთა შორის. სულ მედლების 34 კომპლექტი გათამაშდება.

ცურვაში შეჯიბრისთვის ჩინელებმა საგანგებოდ ააგეს ახალი, ულტრათანამედროვე ეროვნული აკვა-ცენტრი, რომელიც თამაშების მშვენება და ერთ-ერთი სიმბოლოა. სწორედ ეს ნაგებობა უმასპინძლებს მსოფლიოს უძლიერეს მოცურავეებს 9-17 აგვისტოს. ტრადიციულად მძლავრი გუნდები ჰყავთ ამერიკელებს და ავსტრალიელებს, რომლებიც ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოს მედლების მიზერულ ოდენობას თუ დაუტოვებენ. ამერიკელი უნივერსალი მაიკლ ფელპსი 5 ინდივიდუალურ და 3 გუნდურ სახეობაში ანუ ესტაფეტაში გეგმავს მედალს და თუ საწადელი აისრულა, 1972 წელს თანამემამულე მარკ სპიცის ყველა დროის რეკორდს, ერთ ოლიმპიადაზე 7 ოქროს გააზუნებს.

ქართველებს აკვა-ცენტრში ორი მოცურავე გვყავს — 200 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე ირაკლი რევიშვილი და 100 მეტრზე ბრასით მოცურავე ანა სალნიკოვა, თუმც მათგან მედლები ან თუნდაც ფინალურ რვეულში მოხვედრა ნაკლებსავარაუდოა. რევიშვილიც და სალნიკოვაც 10 აგვისტოს საკვალიფიკაციო წრეში იწყებენ გამოსვლას.

## ცხენოსნობა



გასული საუკუნეებიდან ჩვენს დროში გადმოსული კიდევ ერთი სახეობა, რომელსაც ძველი ხალხურობა და ხიბლი დაუკარგავს, რაკი ხალხი ცოცხალი ცხენებიდან მასიურად გადამჯდარა რკინის რაშებზე.

ამ ოლიმპიადაზე ცხენოსანთა შეჯიბრი არა პეკინში, არამედ ჰონკონგში გაიმართება 9-20 აგვისტოს და გათამაშდება 6 კომპლექტი, რომლებიც თუ ტრადიციებს ვენდობით, ძირითადად ევროპელებმა უნდა ირგუნონ.

## ძალოსნობა



შეჯიბრი სიმძიმის აწევაში, ასევე ერთ-ერთი ფუნდამენტური სპორტი მძლეოსნობასთან და ცურვასთან ერთად და ოლიმპიადების ერთ-ერთი „დამფუძნებელი“ სახეობა. თამაშებზე სიმძიმეებს 1896 წლიდან ეწევიან კაცები, ხოლო ქალებმა ეს მძიმე საქმე სულ ახლახანს, 2000 წლიდან დაიწყეს.

შეჯიბრი გაიმართება 9-19 აგვისტოს პეკინის გარეუბანში, ბაიჰანგის უნივერსიტეტის დარბაზში. კაცთა შორის რვა წონაში, ხოლო ქალთა შორის შვიდში გათამაშდება მედლები. ქართველებს სამი ძალოსანი გვყავს პეკინში — 85 კილოგრამამდე წონაში რაულ ცირეკიძე (15 აგვისტო), 94 კილოგრამამდე წონაში არსენ კასაბაევი (17 აგვისტო) და 105 კილოგრამამდე წონაში ალბერტ კუზილოვი (18 აგვისტო).

## ძიუდო



ჭიდაობის გემრიელი სახეობა, რომელიც იაპონელებმა ჩვენდა ბედად და გასახარად მოიგონეს და გამოიტანეს მსოფლიო ტატამზე. ტრადიციულ მოჭიდავეებს ნუ ეწყინებათ და საცქერლად ბევრად სჯობს თავისუფალსაც და ბერძნულ-რომაულსაც. და მთელს მსოფლიოში ჰყავს კარგი სპორტსმენები და დამფასებელი მაყურებლები.

ოლიმპიადებზე საკმაოდ გვიან, 1964 წლიდან დამკვიდრდა, მაგრამ მუშტარი უმალ მოიპოვა. 1992 წლიდან გამოდიან ქალებიც კაცთა დარად 7 წონით სახეობაში. ქართველ ძიუდოისტ ქალს ვერც პეკინში ვიხილავთ. აი კაცები კი სრულყოფილად, შვიდივე წონაში გვყავს და პრაქტიკულად ნებისმიერი მათგანისგან შეიძლება მედალი მივილოთ. შეჯიბრი 9-15 აგვისტოს გაიმართება პეკინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის დარბაზში. 9 აგვისტოს გამოდის ნესტორ ხერგიანი (60 კილოგრამამდე წონა), 10 აგვისტოს ზაზა კედელაშვილი (66), 11 აგვისტოს დავით ქევხიშვილი (73), 12 აგვისტოს საბა გავაშელიშვილი (81), 13 აგვისტოს ირაკლი ცირეკიძე (90), 14 აგვისტოს ლომერ ჟორჟოლიანი (100) და 15 აგვისტოს ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე).

## წყალბურთი



ბურთაობა წყალში, რომელიც კაცთა შორის პირველად 1900 წლის ოლიმპიადაზე გაიმართა, ქალები კი ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ მიიღეს ოლიმპიურ ოჯახში.

პეკინში კაცთა შორის მედლების ერთი კომპლექტს მსოფლიოს 12 ნაკრები გაითამაშებს, ძალებში კი 8 საუკეთესო გუნდი შეკრებილა. ცურვის, სინქრონული ცურვისა და წყალში ხტომის გადამკიდე წყალბურთი აკვა-ცენტრში ველარ დაეტია და მას 10:24 აგვისტოს ინგტუნგის აუზი მიიღებს. ტრადიციულად ძლიერი გუნდები ჰყავთ უნგრელებს, სერბებს, ხორვატებს...

## წყალში ხტომა



ოლიმპიადის მასპინძლებს მოცურავეთა იმედი ნაკლებ აქვთ, წყალში მხტომელთაგან კი ლამის ყველა ოქროს მედალს ითხოვენ და ეროვნული აკვა-ცენტრის მშენებლობაში დიდწილად სწორედ ამის გამო ჩადეს სული და გული.

ესეც ძველი სახეობაა, ოლიმპიურ პროგრამაში კი მესამე თამაშებზე 1904 წლიდან ჩაიწერა. მედლები თამაშდება 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში კაცთა და ქალთა ერთეულებში და სინქრონულ წყვილებში. აკვა-ცენტრში 19-23 აგვისტოს მედლების რვა კომპლექტი გათამაშდება.

## ხელბურთი



კიდევ ერთი გუნდურსათამაშო სახეობა, რომელსაც თავისი ხიბლი აქვს და მუშტარიც ჰყავს. მსოფლიოს უძლიერესი ხელბურთელებს კაცებში 1972 წლიდან გაჰყავთ ოლიმპიადებზე ნაკრებები, ქალები კი იქ 4 წლის შემდეგ დაუშვეს.

პეკინში ოლიმპიური მედლებისთვის კაცთა და ქალთა 12-12 რჩეული ნაკრები შეეჯიბრება ერთმანეთს და დიდი შანსია, ორივეგან ევროპელებს დარჩეთ ოქრო. შეჯიბრს რამდენიმე დარბაზი დაინაწილებს.

**ირაკლი ფირაშვილი**



საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია

მერაბი ტაბიძის ფოტო

# თამაშების განრიგი

## 9 აგვისტო, შაბათი

**ბადმინტონი**

კაცები, პირადი — I წრე

ქალები, პირადი — I წრე

**კალათბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის I ტურის მატჩები

**პლაჟის ფრენბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის I ტურის მატჩები

ქალები — ჯგუფური ეტაპის I ტურის მატჩები

**კრივი**

75 კგ — I წრე

**საგზატკეცილო ველორბოლა**

კაცები — ჯგუფური რბოლა (ფინალი)

**ფრენბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის I ტურის მატჩები

**ხელბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის I ტურის მატჩები

**სპორტული ტანვარჯიში**

კაცები — საკვალიფიკაციო ეტაპი

**აკადემიური ნიჩბოსნობა**

წინასწარი გაცურვები

**ძიუდო**

ქალები — 48 კგ (კვალიფიკაცია, ფინალი)

კაცები — 60 კგ (კვალიფიკაცია, ფინალი)

**ცხენოსნობა**

კლასიკური სამჭიდი, პირადი პირველობა — გაწვრთნა

**აფროსნობა**

მიქსტი, ფინის კლასი — წინასწარი გაცურვა

ქალები, ინგლინგის კლასი — წინასწარი გაცურვა

**ცურვა**

კაცები — 400 მ კომბინირებული — კვალიფიკაცია

კაცები — 400 მ თავისუფალი — კვალიფიკაცია

კაცები — 100 მ ბრასი — კვალიფიკაცია

ქალები — 400 მ ბატერფლაი — კვალიფიკაცია

ქალები — 400 მ კომბინირებული — კვალიფიკაცია

ქალები — 4X100 მ თავისუფალი — კვალიფიკაცია

**სროლა**

ქალები — პნევმატური შაშხანა (კვალიფიკაცია, ფინალი)

კაცები — პრევმატური პისტოლეტი (კვალიფიკაცია, ფინალი)

კაცები — ტრეპი (სასანგრე სტენდი) — კვალიფიკაცია

**მშვილდოსნობა**

ქალები, პირადი — კვალიფიკაცია

კაცები, პირადი — კვალიფიკაცია

**ძალოსნობა**

ქალები — 48 კგ. (ფინალი)

**ფარიკაობა**

ქალები — ხმალი, პირადი (კვალიფიკაცია, ფინალი)

**ფეხბურთი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის II ტურის მატჩები

## 10 აგვისტო, კვირა

**ბადმინტონი**

კაცები, პირადი — პირველი წრე

ქალები, პირადი — 1/16 ფინალი

ქალები, წყვილები — 1/8 ფინალი

**კალათბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის I ტურის მატჩები

**პლაჟის ფრენბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის II ტურის მატჩები

ქალები — ჯგუფური ეტაპის II ტურის მატჩები

**კრივი**

64 კგ — I წრე

69 კგ — I წრე

**საგზატკეცილო ველორბოლა**

ქალები — ჯგუფური რბოლა (ფინალი)

**წყალბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის I ტურის მატჩები

**ფრენბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის I ტურის მატჩები

**ხელბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის I ტურის მატჩები

**სპორტული ტანვარჯიში**

ქალები — საკვალიფიკაციო ეტაპი

**აკადემიური ნიჩბოსნობა**

წინასწარი გაცურვები

**ძიუდო**

ქალები — 52 კგ (კვალიფიკაცია, ფინალი)

კაცები — 66 კგ (კვალიფიკაცია, ფინალი)

**ცხენოსნობა**

კლასიკური სამჭიდი — პირადი და გუნდური პირველობა — გაწვრთნა

**აფროსნობა**

მიქსტი, ფინის კლასი — წინასწარი გაცურვა

მიქსტი, „49“ — წინასწარი გაცურვა

ქალები, ინგლინგის კლასი — წინასწარი გაცურვა

**ცურვა**

კაცები — 400 მ კომბინირებული — ფინალი

კაცები — 400 მ თავისუფალი — ფინალი

კაცები — 100 მ ბრასი — ნახევარფინალი

კაცები — 200 მ თავისუფალი — კვალიფიკაცია

კაცები — 4X100 მ თავისუფალი — კვალიფიკაცია

ქალები — 400 მ კობინირებული — ფინალი

ქალები — 4X100 მ თავისუფალი — ფინალი

ქალები — 100 მ თავიუფალი — კვალიფიკაცია

ქალები — 100 მ ბრასი — კვალიფიკაცია

ქალები — 400 მ თავისუფალი — კვალიფიკაცია

ქალები — 100 მ ბატერფლაი — ნახევარფინალი

**წყალში ხტომა**

ქალები — ტრამპლინი, სინქრონული ხტომები (ფინალი)

**სროლა**

ქალები — პნევმატური პისტოლეტი (კვალიფიკაცია, ფინალი)

კაცები — ტრეპი (სასანგრე სტენდი) კვალიფიკაცია, ფინალი

**მშვილდოსნობა**

ქალები, გუნდური — 1/8 ფინალი, 1/2 ფინალი, ფინალი

**ჩოგბურთი**

ქალები, პირადი — I წრე

ქალები, წყვილები — I წრე

კაცები, პირადი — I წრე

კაცები, წყვილები — I წრე

**ძალოსნობა**

ქალები — 53 კგ (კვალიფიკაცია, ფინალი)

კაცები — 56 კგ (კვალიფიკაცია, ფინალი)

**ფარიკაობა**

კაცები — დაშნა, პირადი (კვალიფიკაცია, ფინალი)

**ფეხბურთი**

კაცები — ჯგუფური ეტაპის II ტურის მატჩები

**ბალახის ჰოკეი**

ქალები — ჯგუფური ეტაპის I ტურის მატჩები

# კაკას ოპერაცია ფუჭილად გაუკეთებია




**„მილანის“** ექიმმა ჟან-პიერ მეერსმანმა თქვა, რომ კაკას მუხლზე გაკეთებული ოპერაცია სრულიად ზედმეტი იყო. მეტიც — ამას, შესაძლოა, ფეხბურთელს გარკვეული პრობლემები შეუქმნას და სარეაბილიტაციო პერიოდი დროში გაუწელოს.

მეერსმანის განცხადებით, კაკა შეცდომაში ბრაზილიის ნაკრების ექიმმა ჟოზე ლუიშ რუნსომ შეიყვანა. შესაძლოა, „მილანის“ ლიდერი მინდორს ოქტომბრამდე ვერც დაუბრუნდეს.

„ოპერაცია, რომელიც კაკამ გაიკეთა აბსოლუტურად უსარგებლო გახლდათ. ეს ფუჭი დროის კარგვაა. მას მუხლის მოშუშება ჩვეულებრივი სარეაბილიტაციო პროგრამის გავლით შეეძლო და ნაკლები დრო დასჭირდებოდა“ — თქვა მეერსმანმა.

ამასობაში, „მილანში“ თავდამსხმელების დღეს არსებული დეფიციტის გამო ახალგაზრდა ალბერტო პალოსკი კლუბში შეუცვლელ ფორვარდად იქცა, რითაც გაოცებული და, ამავე დროს, გახარებულია.

„ახალ გამოწვევასა და თავგადასავალს ყოველთვის სიამოვნებით ვიღებ. ძალიან მახარებს ნამდვილი ჩემპიონების მხარდამხარ თამაში, ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. კლუბში რომ მოვედი, სულ პატარა ვიყავი და ახლა უკვე, ჩემთვის მოულოდნელად, პირველი გუნდის წევრი ვარ. ამაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. დიდი მადლობა ყველას კომპლიმენტებისა და თანადგომისთვის“ — განაცხადა პალოსკიმ.

„როსონერის“ ვეტერანი ჰოლანდიელი ლეგიონერი კლარენს ზეედორფი კი აღფრთოვანებულია გუნდის დირექტორის ადრიანო გალიანის მუშაობით, კერძოდ მისი სატრანსფერო პოლიტიკით.

„გუნდში მოსული ფეხბურთელების გვარებს თუ გადავხედავთ, მართლაც აღფრთოვანებულნი დავრჩებით. ძალიან მნიშვნელოვანი, უმაღლესი კლასის მოთამაშეები დავიმატეთ. მათთან ერთად უკვე ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს, ბევრი ნიჭიერი, დიდი პოტენციალის მქონე ახალგაზრდის ჩათვლით, რომლებიც ნელნელა ისწავლიან და დაიხვეწებიან. მომავალ სეზონში სკუდეტოსა და უეფას თასისთვის ვიბრძოლებთ, ენთუზიაზმი ნამდვილად არ გვაკლია. რაც შეეხება რონალდინიოს, წარსულშიც ვთქვი, რომ მის დარ ფეხბურთელთან ერთად მინდოდა თამაში. „ბარსელონას“, რომ შევხვდით, დინიოს მაისურა გავუცვალე და ვუთხარი, იმედია, მალე ჩამოხვალ-თქო. მიხარია, რომ ეს სურვილი ამისრულდა. რონალდინიოს მოსვლა ყველას გვინდოდა, ასევე მარკო ბორიელოს, მატიე ფლამინისა და ჯანლუკა ძამბროტასი. ვფიქრობ, ხელმძღვანელობამ სწორი მიმართულებით იარა და ახლა ადრიანო გალიანი გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა კიდევ ვინმეს დამატება“ — აღნიშნა ზეედორფმა.

დაბოლოს, გავრცელდა ცნობა, „მილანი“ „იუვენტუსთან“ შებრძოლებას აპირებს „ჩელსის“ მცველის ბრანისლავ ივანოვიჩისთვისო. სერბს ლონდონური კარიერა ვერ აეწყო და, სავარაუდოდ, დიდი სიამოვნებით დატოვებს „სტემფორდ ბრიჯს“.

**გიორგი ძაძაბაძე**



# რობინიოს ვერ ხედავთ?

**რობინიო** „რეალის“ წინააღმდეგ აჯანყებას აპირებს, თუ არ გაუშვებენ „ჩელსიში“, რომელიც მის სანაცვლოდ 24 მილიონ გირვანქას იხდის.

ფეხბურთელის აგენტმა ვაგნერ რიბეირუმ დაადასტურა, რომ ლონდონურ კლუბთან მოლაპარაკება ჰქონდა. ჩელსელები რობინიოს ხუთწლიან კონტრაქტს და კვირაში 70 ათას გირვანქას სთავაზობენ — ორჯერ მეტს, ვიდრე „რეალში“ აქვს.

„სამეფო კლუბი“ კი ალბათ მაგრად ჩაებღაუჭება ფორვარდს, რადგან „მანჩესტერიდან“ რონალდუს გადაყვანა ვერ მოახერხა. რობინიოს ძალიან უნდა ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდში და ორჯერ მეტი ხელფასიც ყელზე არ დაადგება. კლუბებს შორის მოლაპარაკების დაწყება იგეგმება, მაგრამ ფეხბურთელს ტრანსფერის სწრაფად მოგვარება სურს და „რეალს“ აჩქარებს.

რობინიოს მავანმა ნაცნობმა თქვა: „რაკი რონალდუს შეძენა ვერ შეძლეს, ახლა რობინიოს საქმეც გაჭიანურდება, მაგრამ ისე იწევს „ჩელსისკენ“, რომ მისი დაკავება ძნელი იქნება“.

ვაგნერ რიბეირუმ კი ბრძანა: „ჩემი კლიენტი „რეალის“ შეფებზე გაბრაზებულია, რადგან მისი აზრით, უსამართლოდ ეპყრობიან. ყოველდღე მირეკავს და მეკითხება, სადმე გადასვლის ვარიანტი ხომ არ გამოჩნდაო. სამი დღის განმავლობაში ამაოდ ვცდილობდი „რეალის“ ბოსებიდან ვინმესთან დალაპარაკებას. რობინიოს მომავალი ბუნდოვანია.

მას სურს, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს, რასაც აქ ვერ აღწევს, რადგან ისე ექცევიან, როგორც მეოთხეხარისხოვან მოთამაშეს.

ჯერ იყო და, რონალდუს შეძენა უნდოდათ და არ გამოუვიდათ. მერე ვან დერ ვაარტს მიადგნენ და იყიდეს. მერე დავიდ ვილია ამოიჩემეს, რობინიო კი თითქოს აქ არც არსებობდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჟოზე მაურინიუს სტანკოვიჩი სჭირდება



**„ინტერიდან“** დეიან სტანკოვიჩის წასვლის და მით უმეტეს, „იუვენტუსში“ გადასვლის შესაძლებლობა ფაქტობრივად გამოირიცხა. „ნერაძურის“ მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ თქვა, სერბი მჭირდება და მის გაშვებას არ ვაპირებო. არადა, პორტუგალიელს სტანკოვიჩზე მზე და მთვარე რომ არ ამოსდის, მისი ადრინდელი განცხადებებიდანაც ჩანს. „განსაკუთრებულმა“ ერთხელ თქვა კიდეც, ეს და „ლაციოში“ მოთამაშე სტანკოვიჩი სხვადასხვა ფეხბურთელები არიან და იმედია, დეიანი ძველებურად ათამაშდებაო.

„ვითარებას მარტივად ვუყურებ და ეს უკვე ვთქვი კიდეც, „იუვენტუსს“ კი შეუძლია, რაც უნდა, ის იფიქროს. პრესაში გავრცელებულ ჭორებსაც ნუ მიაქცევთ ყურადღებას. მე მომწონს სტანკოვიჩი, მომწონს, როგორც პიროვნება და როგორც ფეხბურთელი. ვფიქრობ, დეიანიც სიამოვნებით იმუშავებს ჩემთან. ბევრი ფიქრობს, რომ ცენტრალური ნახევარმცველი უფრო დაცვაზე უნდა იყოს ორიენტირებული, მე კი მგონია, რომ ამ ამპლუის მოთამაშეს კარგი ხედვა და ტექნიკაც უნდა ჰქონდეს. თუ ესტებან კამბიასო ჯანზე იქნება, ეს მისი პოზიციაა, მაგრამ თამაშის საშუალება სტანკოვიჩსაც მიეცემა და მას სხვა პოზიციებზეც გამოვიყენებთ“ — თქვა მაურინიუმ.

მილანელთა ახალწვეული სულეი ალი მუნტარი კი ხვდება, რომ „ინტერისთვის“ სარეზერვო ვარიანტი იყო და „სან სიროზე“ მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა, რომ „ნერაძურიმ“ ფრენკ ლამპარდი ვერ ჩაიგდო ხელში. თუმცა განელს ეს არ აღელვებს და ამბობს, შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა მინდაო.

„სანამ გადმოვიდოდი, მაურინიუს ვესაუბრე და მან სიტუაცია ამიხსნა. ვიცოდი, ლამპარდის მერე, რეზერვად ვიყავი სიაში, მაგრამ ეს არ მადარდებს. მთავარია, აქ ვარ და ვეცდები, მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო გუნდს. ბოლომდე დავიხარჯები, დანარჩენი კი მწვრთნელის გადასაწყვეტია. ასეთი ბრწყინვალე ნახევარდაცვის მქონე კლუბში ჯერ არ მითამაშია“ — განაცხადა მუნტარიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

ამ პრობლემებს მოგიხსნით

ტრიმოლი

ცხელება, შაკიკი, თავის ტკივილი, კბილის ტკივილი, სახსრების ტკივილი, მენსტრუალური ტკივილი, ნევრალგია, ცხელებით მიმდინარე ინფექციურ-ანთებითი დაავადებები.




➤ სისხლის დამწევი
➤ ტკივილგამაყუჩებელი
➤ ანთების საწინააღმდეგო

აჯანტა ფარმა ლიმიტედი - ინდოეთი

ტრიმოლი

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

## რომას ძველი სამიზნეები

**იტალიური** „რომა“ გაძლიერებაზე ფიქრს განაგრძობს და ამჟამად ორ ფეხბურთელზეა შეჩერებული — ჟულიუ ბაპტიშტასა და ფლორან მალუდაზე. „გლადიატორები“ მათ დიდი ხანია, უტრიალებენ. იტალიურმა პრესამ გაავრცელა ცნობა, რომ „ჯალოროსის“ წარმომადგენლები მადრიდში გაფრინდნენ, რათა „რეალს“ ბაპტიშტაზე მოელაპარაკონ. თუმცა მოგვიანებით, ბრაზილიელის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა, რამდენიმე დღეში რომში ჩვენ ჩავალთ და შეთანხმებას ვეცდებითო.

რაც შეეხება მალუდას, „რომა“ კვირას „უაით ჰართ ლეინზე“ ამხანაგურად სტუმრობს „ტოტენჰემს“ და ამბობენ, „გლადიატორები“ „დეზების“ თანაქალაქელ „ჩელსისთან“ შეეცდებიან ფრანგის ტრანსფერზე გარიგებასო.

## ვილა და ბორო შეთანხმდნენ

**„ასტონ ვილა“** და „მიდლსბრო“ ლუკ იანგის თაობაზე შეთანხმდნენ. უახლოეს მომავალში 29 წლის მცველი ბირმინგემში გაემგზავრება და „ვილას“ ხელმძღვანელობასთან პირადი კონტრაქტის პირობებს შეათანხმებს. ტრანსფერის ღირებულება კი, სავარაუდოდ, 5 მილიონ გირვანქას შეადგენს.

გასულ სეზონში იანგმა „მიდლსბროს“ შემადგენლობაში 35 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

## დიუფმა სისე დაიტოვა

**ფრანგული** „მარსელის“ პრეზიდენტმა პაპ დიუფმა განაცხადა, რომ იყო შანსი, ამ ზაფხულს ჯიბრილ სისე სხვა კლუბში გადასულიყო. სხვადასხვა სერიოზული შემოთავაზებაც ჰქონდა, თუმც მოლაპარაკების შედეგად მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჯიბრილი მომავალ სეზონშიც „მარსელის“ მაისურით ითამაშებს.

## ვილია საბოლოოდ რჩება

**დავიდ ვილიას** აგენტმა ხოსე ლუის ტამარგომ თავისი კლიენტის სხვა კლუბში გადასვლის შესაძლებლობა საბოლოოდ გამორიცხა. „ღამურების“ ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ ფეხბურთელის აგენტმა პრესისთვის განცხადება გააკეთა:

„შეხვედრაზე ყველაფერზე შევთანხმდით და ახლა დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ დავიდი „ვალენსიაში“ რჩება. ამაში კლუბის ხელმძღვანელობაც დაინტერესებულია და ჩვენც“ — აღნიშნა ტამარგომ.

## კვლავ ბარსელონა — ტაშკენტი

**8 აგვისტოს** „ბარსელონასა“ და „ბუნიოდკორს“ შორის საპარტნიორო შეთანხმების ფარგლებში, ტაშკენტს კატალონიელთა პრეზიდენტი ხუან ლაპორტა ეწვევა. სტუმრების ვიზიტი 10 აგვისტომდე გასტანს, რომლის პერიოდში კლუბებს შორის ურთიერთობის სხვადასხვა საკითხზე მოლაპარაკება იგეგმება.

## ბარსა, სილვა და არშავინი

**„ბარსელონას“** ხელმძღვანელობამ ანდრეი არშავინის შეძენაზე საბოლოოდ ჩაიქნია ხელი და გადაწყვიტა, „ვალენსიადან“ დავიდ სილვას გადაბირებაზე მოახდინოს კონცენტრაცია.

ამასობაში, ოთხშაბათს არშავინმა „ზენიტის“ ვარჯიში პროტესტის ნიშნად გააცდინა, რადგან კლუბის ხელმძღვანელობა მას „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ არ უშვებს. „დეზები“ კი რუსი ფეხბურთელის სანაცვლოდ 19 მილიონ გირვანქას ჩამოდიან.

## როკი სამხრეთ კორეას ელს

**იტალიის** ოლიმპიური ნაკრების თავდამსხმელმა ტომაზო როკიმ მცირე ტრავმის გამო ჰონდურასთან შეხვედრა გამოტოვა, რომელიც „ატურიმ“ 3:0 მოიგო. ახლა კი ფორვარდი დარწმუნებულია, რომ სამხრეთ კორეასთან მომავალ მატჩში აუცილებლად ითამაშებს: „საშიში არაფერი მომხდარა. ნაკრების სამედიცინო პერსონალს ვესაუბრე და გადავწყვიტეთ, არ გაგვერისკა. სამხრეთ კორეასთან კი მოედანზე აუცილებლად გავალ“ — განაცხადა როკიმ.

## კრის კირკლენდი სტარტს გამოტოვებს

**ინგლისური** „უიგან ატლეტიკის“ მეკარემ კრის კირკლენდმა, შესაძლოა, ლონდონის „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ პრემიერლიგის სასტარტო შეხვედრა გამოტოვოს. მიზეზი ზურგის ტრავმაა. „კირკლენდი სპეციალისტთან გავაგზავნეთ. კრისს ზურგის არეში ტკივილის შეგრძნებები აქვს და მისი ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდებას არ ვაპირებთ“ — განაცხადა „უიგანის“ მწვრთნელმა ერიკ ბლეკმა.

„ვესტ ჰემთან“ ასევე ტრავმის გამო თამაშს გამოტოვებს ავსტრიელი მცველი პაულ შარნერი.

## რეპერი რიო

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** მცველმა რიო ფერდინანდმა რეპერობა გადაწყვიტა და ახალგაზრდა მომღერალ ნია ჯეისთან კომპოზიცია ჩაიწერა. სინგლი 6 ოქტომბერს White Chalk-ის ლეიბლით გამოვა, რომელიც თვით ფერდინანდ ეკუთვნის.

**არჩილ ძოზახიძე**

# მამაჩემი ფერგიუსონი

## სიცრუე და ორპირობა რონალდუს შესრულებით

**მანჩესტერში** დაბრუნებული კრიშტიანუ რონალდუ მლიქვნელობის მორევში გადაეშვა.

მიხვდა, რომ მიჰქარა, როცა „რეალში“ გადასვლის სურვილი გაამხილა და რაკი ისევ „მანჩესტერში“ თამაში მოუწევს, ქლესაობა დაიწყო.

| 01:30 | 375 | სან პაულუ-გოიასი | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| 23:00 | 376 | ბოტაფოგო-პალმეირასი | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| 23:00 | 377 | ვიტორია-ვასკუ და გამა | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 23:00 | 381 | პორტუგესა-კრუზეირო | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 23:00 | 382 | კურიტიბა-სპორტ რისიფე | 1.75 | 3.40 | 4.35 | 1.15 | 1.24 | 1.90 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 01:10 | 378 | ინტერნასიონალი-ფიგეირენსე | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 01:10 | 379 | იპატინგა-ფლუმინენსე | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 01:10 | 380 | ნაუტიკო-სანტოსი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **ჩილე. აპერტურა** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 01:00 | 383 | უ.კონსეპსიონი-მორნინგი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:30 | 384 | ნუბლენსე-პალესტინო | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 03:30 | 385 | სერენა-უნ.ჩილე | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 20:00 | 386 | ევერტონი-მელიპილია | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| 23:55 | 388 | კობრესალი-უაჩიპატო | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 03:00 | 389 | ოსორნო-ანტოფაგასტა | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:30 | 390 | პიგინსი-უნ.კატოლიკა | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:55 | 391 | კობრელოა-რეინჯერსი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 01:55 | 392 | კოლო კოლო-აუდასი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | **ოლიმპიადა. ფეხბურთი კაცები** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 13:00 | 574 | კამერუნი-ჰონდურასი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 13:00 | 575 | ახ ზელანდია-ბრაზილია | 15.00 | 7.00 | 1.10 | 4.77 | 1.02 | 1.00 |
| 13:00 | 576 | ნიგერია-იაპონია | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 13:00 | 577 | არგენტინა-ავსტრალია | 1.25 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.19 |
| 15:45 | 578 | იტალია-სამ კორეა | 1.50 | 3.50 | 6.20 | 1.04 | 1.20 | 2.23 |
| 15:45 | 579 | ბელგია-ჩინეთი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 15:45 | 580 | სერბეთი-კოტ დიუარი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 15:45 | 581 | აშშ-ჰოლანდია | 4.40 | 3.30 | 1.70 | 1.88 | 1.22 | 1.12 |
| | | **ოლიმპიადა. ფეხბურთი ქალები** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 13:00 | 568 | გერმანია-ნიგერია | 1.05 | 9.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.62 |
| 13:00 | 569 | აშშ-იაპონია | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 13:00 | 570 | შვედეთი-არგენტინა | 1.05 | 9.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 5.14 |
| 15:45 | 571 | ბრაზილია-ჩრდ კორეა | 1.65 | 3.20 | 4.50 | 1.08 | 1.20 | 1.87 |
| 15:45 | 572 | ჩინეთი-კანადა | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 15:45 | 573 | ნორვეგია-ახ ზელანდია | 1.12 | 7.50 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 4.28 |
| | | **საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 506 | ფულემი-ტორინო | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| 18:00 | 507 | ბლექბერნი-ბრედა | 2.20 | 3.30 | 2.65 | 1.32 | 1.20 | 1.46 |
| 18:00 | 508 | ევერტონი-პსვ | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 509 | პალი-ოსასუნა | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 510 | ნიუკასლი-ვალენსია | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 18:00 | 511 | ვესტ ჰემი-ვილიარეალი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 20:15 | 512 | სიტი-მილანი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 21:00 | 513 | არსენალი-სევილია ნ | 2.20 | 3.40 | 2.65 | 1.33 | 1.20 | 1.48 |
| 22:30 | 514 | შემროკი-სანდერლენდი | 7.00 | 3.70 | 1.40 | 2.42 | 1.16 | 1.01 |
| 23:15 | 515 | აიაქსი-ინტერი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 516 | უტრეხტი-უიგანი | 2.25 | 3.40 | 2.60 | 1.35 | 1.20 | 1.47 |
| 18:00 | 517 | ტოტენჰემი-რომა | 2.10 | 3.40 | 2.80 | 1.29 | 1.20 | 1.53 |
| | | **ოლიმპიადა. ხელბურთი ქალები** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 10:00 | 455 | რუმინეთი-ყაზახეთი. | 1.01 | 15.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 6.00 |
| 15:00 | 456 | ნორვეგია-ჩინეთი.. | 1.02 | 15.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 6.00 |
| 05:30 | 457 | უნგრეთი-შვედეთი. | 1.30 | 10.00 | 3.60 | 1.15 | 1.00 | 2.64 |
| 11:45 | 458 | რუსეთი-სამ კორეა. | 1.25 | 10.00 | 4.20 | 1.11 | 1.00 | 2.95 |
| 16:45 | 459 | გერმანია-ბრაზილია. | 1.15 | 12.00 | 5.50 | 1.04 | 1.00 | 3.77 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 17:30 | 410 | კილი-ჰანზა | 4.00 | 3.20 | 1.75 | 1.77 | 1.21 | 1.13 |
| 17:30 | 411 | ბაბელსბერგი-მაინცი | 4.60 | 3.40 | 1.60 | 1.95 | 1.18 | 1.08 |
| 17:30 | 412 | ესენი-დორტმუნდი | 4.80 | 3.50 | 1.55 | 2.02 | 1.17 | 1.07 |
| 21:30 | 413 | პადერბორნი-აუგსბურგი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 17:30 | 414 | ინგლოშტადტი-ჰამბურგი | 4.60 | 3.40 | 1.60 | 1.95 | 1.18 | 1.08 |
| 17:30 | 415 | ნორდჰორნი-ვერდერი | 20.00 | 10.00 | 1.03 | 6.66 | 1.00 | 1.00 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 19:30 | 416 | ობერჰაუზენი-ლევერკუზენი | 4.40 | 3.30 | 1.65 | 1.88 | 1.20 | 1.10 |
| 22:30 | 417 | ერფურტი-ბაიერნი | 11.00 | 5.50 | 1.15 | 3.66 | 1.04 | 1.00 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ოლიმპიადა. ხელბურთი კაცები** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 05:30 | 460 | რუსეთი.-ისლანდია | 1.70 | 9.00 | 2.10 | 1.42 | 1.00 | 1.70 |
| 11:45 | 461 | გერმანია.-სამ კორეა | 1.05 | 12.00 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 5.14 |
| 16:45 | 462 | დანია.-ეგვიპტე | 1.10 | 12.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 04:00 | 463 | ხორვატია.-ესპანეთი | 1.70 | 9.00 | 2.25 | 1.42 | 1.00 | 1.79 |
| 10:00 | 464 | საფრანგეთი.-ბრაზილია | 1.01 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 15:00 | 465 | პოლონეთი.-ჩინეთი | 1.05 | 12.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| | | **იაპონია. თასი** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 14:00 | 533 | იოკოჰამა ფმ-გამბა | 2.55 | 3.00 | 2.55 | 1.37 | 1.27 | 1.37 |
| | | **ინგლისი. FA Community Shield** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 48 | მანჩესტერი-პორსმუთი | 1.60 | 3.60 | 5.50 | 1.10 | 1.23 | 2.17 |
| | | **ჩრდ.ირლანდია. ლიგა** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 552 | კოლარაინე-კლიფტონვილე | 3.45 | 3.20 | 1.90 | 1.66 | 1.22 | 1.19 |
| 18:00 | 553 | ბანგორი-ნეური | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| 18:00 | 554 | დისტილერი-ლინფილდი | 3.55 | 3.20 | 1.85 | 1.68 | 1.21 | 1.17 |
| 18:00 | 555 | გლენტორანი-ბალიმენა | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| 18:00 | 556 | გლენავონი-ინსტიტუტე | 2.35 | 3.00 | 2.65 | 1.31 | 1.24 | 1.40 |
| | | **შერეული** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 537 | სლავია სოფია-ლიტექსი (ბულგ) | 3.20 | 3.10 | 2.05 | 1.57 | 1.24 | 1.23 |
| 19:00 | 538 | სპარტაკი ვარნა-ლოკომოტივი(ბულგ) | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 539 | ბოტევი-ჩერნომორეცი(ბულგ) | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 19:00 | 540 | სლივენი-ლოკ პლოვდივი(ბულგ) | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 19:00 | 541 | მინორ პერნიკი-ლოკ სოფია(ბულგ) | 3.85 | 3.20 | 1.85 | 1.74 | 1.24 | 1.17 |
| 19:00 | 542 | კრაიოვა-ფარული(რუმ) | 1.80 | 3.20 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.72 |
| 20:00 | 544 | ბუზაუ-ოტელული(რუმ) | 2.35 | 3.10 | 2.55 | 1.33 | 1.22 | 1.39 |
| 22:45 | 545 | რაპიდი ბუქ-ეკომაქსი კლუჟი(რუმ) | 2.15 | 3.10 | 2.85 | 1.26 | 1.22 | 1.48 |
| 17:00 | 549 | დონეცკი-ხარკოვი(უკრ) | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.02 | 1.18 | 2.27 |
| 17:00 | 550 | ჩერნომორეცი-კრივბასი(უკრ) | 1.65 | 3.20 | 4.60 | 1.08 | 1.21 | 1.88 |
| 18:00 | 557 | კრუსადერსი-დანგანონი | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| 22:00 | 559 | ვაშაში-მტკ(უნგ) | 2.55 | 3.10 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |
| 22:00 | 560 | კაპოშვარი-პაკსი(უნგ) | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 22:00 | 561 | ბუდაპეშტი-ზალაეგერსეგი(უნგ) | 2.55 | 3.10 | 2.40 | 1.39 | 1.23 | 1.35 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 546 | ოტოპენი-დინამო ბუქ(რუმ) | 7.00 | 3.80 | 1.35 | 2.46 | 1.13 | 1.00 |
| 22:30 | 547 | არგესი-ბრასოვი(რუმ) | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 17:00 | 551 | ზაპოროჟიე-ტავრია(უკრ) | 2.25 | 2.90 | 2.90 | 1.26 | 1.26 | 1.45 |
| | | **ირლანდია. 1 დივიზიონი** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 565 | ლონგფორდი-კილდარე | 1.65 | 3.40 | 4.35 | 1.11 | 1.19 | 1.90 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 566 | მონაგანი-ატლონე | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| | | **ოლიმპიადა. ფრემბურთი კაცები** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 07:00 | 466 | იტალია.-იაპონია. | 1.05 | 8.00 | | | | |
| 07:30 | 467 | აშშ.-ვენესუელა. | 1.02 | 9.00 | | | | |
| 16:00 | 468 | ბულგარეთი.-ჩინეთი. | 1.20 | 4.00 | | | | |
| 05:00 | 469 | სერბეთი.-რუსეთი. | 1.90 | 1.65 | | | | |
| 07:30 | 470 | ბრაზილია.-ეგვიპტე. | 1.01 | 10.00 | | | | |
| 18:00 | 471 | პოლონეთი.-გერმანია. | 1.35 | 2.60 | | | | |
| | | **ოლიმპიადა. ფრემბურთი ქალები** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 05:30 | 472 | იტალია..-რუსეთი.. | 2.00 | 1.60 | | | | |
| 07:00 | 473 | ალჟირი..-ბრაზილია.. | 10.00 | 1.01 | | | | |
| 07:30 | 474 | სერბეთი..-ყაზახეთი.. | 1.01 | 10.00 | | | | |
| 09:30 | 475 | პოლონეთი..-კუბა.. | 2.80 | 1.30 | | | | |
| 16:00 | 476 | ვენესუელა..-ჩინეთი.. | 10.00 | 1.01 | | | | |
| 18:00 | 477 | იაპონია..-აშშ.. | 2.80 | 1.30 | | | | |
| | | **ოლიმპიადა. კალათბურთი კაცები** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 05:00 | 478 | რუსეთი-ირანი. | 1.01 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 07:15 | 479 | გერმანია-ანგოლა. | 1.15 | 12.00 | 4.50 | 1.04 | 1.00 | 3.27 |
| 10:30 | 480 | ესპანეთი-საბერძნეთი. | 1.25 | 12.00 | 2.80 | 1.13 | 1.00 | 2.27 |
| 12:45 | 481 | ლიტვა-არგენტინა. | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| 16:00 | 482 | ავსტრალია-ხორვატია. | 2.40 | 12.00 | 1.40 | 2.00 | 1.00 | 1.25 |
| 18:15 | 483 | აშშ-ჩინეთი. | 1.01 | 12.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 6.00 |
| | | **ოლიმპიადა. კალათბურთი ქალები** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 04:00 | 484 | ბელარუსი-ავსტრალია. | 10.00 | 12.00 | 1.01 | 5.45 | 1.00 | 1.00 |
| 06:00 | 485 | მალი-ახ ზელანდია. | 4.00 | 12.00 | 1.20 | 3.00 | 1.00 | 1.09 |
| 09:30 | 486 | ესპანეთი-ჩინეთი. | 1.50 | 12.00 | 2.10 | 1.33 | 1.00 | 1.78 |
| 12:45 | 487 | ბრაზილია-სამ კორეა. | 1.10 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 16:00 | 488 | აშშ-ჩეხეთი. | 1.02 | 12.00 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 5.14 |
| 18:15 | 489 | რუსეთი-ლატვია. | 1.05 | 12.00 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 5.14 |
| | | **ოლიმპიადა. წყალბურთი კაცები** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 04:30 | 490 | ესპანეთი.-კანადა | 1.15 | 10.00 | 7.00 | 1.03 | 1.00 | 4.11 |
| 06:45 | 491 | უნგრეთი.-ჩერნოგორია | 1.70 | 6.00 | 2.60 | 1.32 | 1.02 | 1.81 |
| 08:10 | 492 | სერბეთი-.გერმანია | 1.01 | 12.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 6.66 |
| 10:00 | 493 | ავსტრალია.-საბერძნეთი | 5.00 | 8.50 | 1.25 | 3.14 | 1.00 | 1.08 |
| 12:40 | 494 | აშშ.-ჩინეთი | 1.20 | 9.00 | 6.00 | 1.05 | 1.00 | 3.59 |
| | | **ოლიმპიადა. წყალბურთი ქალები** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 09:00 | 495 | უნგრეთი-ჰოლანდია.. | 1.30 | 9.00 | 3.80 | 1.13 | 1.00 | 2.67 |
| 10:15 | 496 | რუსეთი-იტალია.. | 1.80 | 6.00 | 2.30 | 1.38 | 1.00 | 1.66 |
| 11:45 | 497 | საბერძნეთი-ავსტრალია.. | 5.00 | 9.00 | 1.25 | 3.21 | 1.00 | 1.09 |
| 13:00 | 498 | აშშ-ჩინეთი.. | 1.03 | 10.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |

# ომი და ფეხბურთი



**სᲐᲝᲛᲐᲠᲛᲐ** მოქმედებებმა სამაჩაბლოში ქართულ სპორტულ ცხოვრებასაც დაასვა დაღი და დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშების მატჩების განრიგი შეცვალა.

გუშინ გასამართი მატჩი თბილისის „ამერსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის 12 აგვისტოს 17 საათისთვის არის გადატანილი, ხოლო „ვიტ ჯორჯია“ — „სამტრედია“ დღეს გაიმართება 19:30 საათზე — ესეც იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მდგომარეობა დამშვიდდება.

წესით და რიგით, დღეს კიდევ ორი მატჩი უნდა გაიმართოს — „სიონი“ — „კოლხეთი“ (17.00) და „ზესტაფონი“ — „ჩიხურა“ (17.30).

10 აგვისტოს 17 საათზე არის დანიშნული „ლოკომოტივი“ — „ჭიათურა“ („მიხეილ მესხი“) და „დინამო“ — „თბილისი“(დიღმის საწვრთნელი ბაზა).

„ამერი“ — „გურიას“ გარდა 12 აგვისტოს რუსთავის „ოლიმპი“ ზუგდიდის „ბაიას“ უმასპინძლებს, ხოლო 13 აგვისტოს ცხინვალის „სპარტაკი“ გორში მარტვილის „მერანს“ დაუხვდება.

ეს ცვლილებები, როგორც გითხარით, ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად მიმდინარე სამხედრო მოქმედებების გამო მოხდა, თუმც, როგორც საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ კაკულიამ გვაცნობა, გამორიცხული არ არის, სათასო განრიგში ცვლილებები ისევ მოხდეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველთა რუმინული გაკვეთილები საესტონეთოდ



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა 24 და 26 ივლისს ორი ამხანაგური მატჩი რომ ჩაატარა რუმინელ თანატოლებთან, ქართველ ქომაგს კარგად მოეხსენება. ჩვენმა ჭაბუკებმა პირველ შეხვედრაში რუმინელებს გლდანში „ამერზე“ შანსი არ დაუტოვეს და 2:0 მოუგეს. ეს ანგარიში სრულად არ ასახავს იმ უპირატესობას, რასაც იმ მატჩში ჩვენები ფლობდნენ.

ორი დღის შემდეგ ამ გუნდებმა გორში კიდევ ერთხელ ითამაშეს და რუმინელებმა რევანში აიღეს, მათ 2:0 მოიგეს. ქართველების სუსტმა წერტილმა იჩინა თავი. ფიზიკურად უკეთესად მომზადებულები სტუმრები აღმოჩნდნენ.

ქართველი 19-წლამდელების მთავარმა მწვრთნელმა ზაურ სვანაძემ გუშინ საქართველოს ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ შეკრიბა და დღეს დილით ტალინში გაემგზავრებიან ორი ამხანაგური მატჩის გასამართად. ჩვენებურები ესტონელებს 12 და 14 აგვისტოს „ალ ლეკოკზე“ დაუპირისპირდებიან. მატჩები ჩვენი დროით 19 საათზე დაიწყება. გუშინ ზაურ სვანაძეს გავესაუბრეთ:

— გუნდი დღეს შევკრიბეთ და წასვლამდე „ოლიმპიკზე“ ვვარჯიშობთ.

— ივლისში ორი ამხანაგური მატჩი გამართეთ რუმინელებთან. ამ თამაშების ანალიზი თუ გქონდათ ფეხბურთელებთან?

— პირველი მატჩი მაშინვე ვნახეთ და გავაანალიზეთ, მეორე შეხვედრას კი ტალინში გავარჩევთ. ამ მატჩში საკმაო შეცდომები გვქონდა და ეს უნდა გავითვალისწინოთ, ესტონელებთან იგივე რომ არ გავიმეოროთ.

— რამდენი ფეხბურთელით მიდიხართ ტალინში?

— 18 ფეხბურთელი მიგვყავს.

— სიაში არ არიან უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელები და ისინი როდის უნდა ნახოთ?

— ამ ეტაპზე ისევ ამათ დავაკვირდებით. სექტემბერში კიდევ ვგეგმავთ ორ ტეტს-მატჩს. სავარაუდოდ, აზერბაიჯანელებს გავეჯიბრებით და ამ შეხვედრებში მოვიწვევთ უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელებს. ნოემბრის ბოლოს კი ევროპის შესარჩევი ტურნირი დაიწყება.

**ნუკრი ლოლაძე**

## საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების საესტონეთო შემადგენლობა

*მეკარეები:* *მაკარიძე, კოტრიკაძე;*
*მცველები:* *კაკუბავა, გეთიაშვილი, ტეტუნაშვილი, მინდორაშვილი, სარაჯიშვილი;*
*ნახევარმცველები:* *შონია, ხუციძე, თარხნიშვილი, ბერიძე, სალარიძე, ნემსაძე, საცერაძე, კვეკვესკირი;*
*თავდამსხმელები:* *რონტიაშვილი, ხოკერაშვილი, მჭადაშვილი.*

# თითქმის ახალი გუნდი კახა ცხადაძისთვის



ამ უქმეებზე აზერბაიჯანის ჩემპიონატი იწყება, სადაც ბლომად ქართველები თამაშობენ. მათ რიცხვს ახლახან კიდევ ერთი შეემატა — დავით ჭიჭვეიშვილი, რომელიც აზერბაიჯანში სათამაშოდ კახა ცხადაძემ მიიწვია თავის „სტანდარდში“. „სტანდარდი“ კი თავის პირველ მატჩს „ნეფთჩისთან“ გამართავს და აზერბაიჯანელი ჟურნალისტები კახა ცხადაძეს ამ მატჩზე და მომავალ სეზონზე ესაუბრნენ...

**— როგორ მოემზადეთ ჩემპიონატისთვის?**

— რომ გითხრათ, „სტანდარდი“ ფორმის პიკშია-მეთქი, არ ვიქნები მართალი. სეზონის წინ პრაქტიკულად ახალი გუნდის შექმნა მოგვიწია, რამაც დიდი დრო წაიღო. წინასასეზონო მზადება თითქმის მთლიანად გუნდის დაკომპლექტებამ წაიღო. ფეხბურთელებთან კონტრაქტები ბოლო დღეებში გავაფორმეთ.

**— საკმარისად გაძლიერდით?**

— შარშანდელთან შედარებით, საკმაოდ. არ შეიძლება, სელექციაზე ამდენი დრო დაიკარგოს და ვერაფერს მიაღწიო. კონტრაქტები ყველასთან გაფორმებულია, მათ შორის ახალწვეულებთან.

**— ახალწვეულები ვინ არიან?**

— ქართველი დავით ჭიჭვეიშვილი და ბრაზილიელები — რონალდუ და ველტონი.

**— ბულგარულ შეკრებაზე ოთხი მატჩიდან ერთიც არ წაგიგიათ...**

— ეს კარგია, მაგრამ არა გადამწყვეტი. შედეგი ჩემპიონატში უნდა ვაჩვენოთ. ერთადერთი, რაც „სტანდარდს“ აკლია, შეთამაშებაა, მაგრამ ეს თანდათან მოვა. ფეხბურთელების შრომისმოყვარეობით კმაყოფილი ვარ.

**— პირველ ტურში „ნეფთჩის“ ხვდებით...**

— მათი უპირატესობა ის არის, რომ უკვე ითამაშეს ექვსი ოფიციალური მატჩი ევროთასზე, მაგრამ დანებებას არ ვაპირებთ — მეტოქესთან ბრძოლა გვექნება.

**— საწყის ტურებში სხვა ფავორიტებსაც ეთამაშებით...**

— კარგი არ არის, მაგრამ წილისყრას ვერ გაექცევი.

**— რას ისახავთ მიზნად?**

— მაღალი ადგილებისთვის ბრძოლას. ხუთეულში უნდა მოვხვდეთ.

**— ეს შესაძლებელია?**

— უნდა შევძლოთ, მთავარია, ფეხბურთელები მალე შეეწყვნენ ერთმანეთს.

# ტოშაკის რაზმი ქართველებისთვის

**უელსის** ნაკრების მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა 20 აგვისტოს საქართველოსთან ამხანაგური მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა. სიაში 19 კაცია და მათ შორის, გეცოდინებათ, არაა კრეიგ ბელამი, ვისაც ტრავმა აწუხებს. ტრავმის გამო უელსელებს 19 წლის პერსპექტიული თავდამსხმელი ჩედ ევანსიც (მანჩესტერ სიტი) დააკლდებათ.

მეკარეები: ბოაზ მაიჰილი (ჰალი), ლუის პრაისი (დერბი)

მცველები: ჩემ რიკეტსი (ჰალი), კრეიგ მორგანი (პეტერბრო), ეშლი უილამსი (სუონსი), სტივ ევანსი (რექსჰემი), კარლ ფლეტჩერი (კრისტალ პალასი), ენდრიუ კროვტსი (ჯილინგემი)

ნახევარმცველები: აარონ დევისი (ნოტინგემი), ოუენ ჯონსი (სუონსი), საიმონ დევისი (ფულემი), ბრაიან სტოკი (დონკასტერი), კარლ რობინსონი (ტორონტო, აშშ), ჯეისონ კუმასი (უიგანი)

თავდამსხმელები: დევიდ ვიგანი (ბლექპული), რობერტ ერნშოუ (ნოტინგემი), ჯერმეინ ისტერი (პლიმუთი), ფრედი ისტვუდი (ქოვენთრი), პოლ პერი (კარლიფი).

უელსი — საქართველო მატჩი „ლიბერტიზე“ გაიმართება. ტოშაკმა მოკლედ თქვა, საქართველოსთან გაჯიბრება კარგი იქნება იმ მხრივ, რომ სექტემბერში აზერბაიჯანთან და რუსეთთან გვაქვს შესარჩევი ციკლის მატჩებიო.

საქართველოსაც იგივე მიზანი აქვს 20 აგვისტოს შეხვედრაში: 6 სექტემბერს ხომ ირლანდიასთან, 10 სექტემბერს კი იტალიასთან თამაშია. ვნახოთ, როგორი იქნება ექტორ რაულ კუპერის ქართული დებიუტი უელსში — იქ, სადაც 1995 წლის ზაფხულში გიორგი ქინქლაძის ბრწყინვალე გოლით ჩვენებს 1:0 მოუგიათ, იქამდე ერთი წლით ადრე კი თბილისში სულაც 5:0 გაანადგურეს ბრიტანელები.

**ილია ნანობაშვილი**



სანაკრებო თამაშები ახლოვდება და ორმაგად საინტერესოა, როგორ ფორმაში არიან ის ფეხბურთელები, რომლებსაც ექტორ რაულ კუპერი უნდა დაეყრდნოს. საქართველოს ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ფიგურები ყაზანის „რუბინის“ ლეგიონერებიც არიან და ერთ-ერთ მათგანს ლაშა სალუქვაძეს გუშინ რუსეთში დავუკავშირდით. „რუბინმა“ წლევანდელი რუსული პრემიერლიგა შვიდი მატჩიდან შვიდი მოგებით დაიწყო, მერე კი ძალიან მოუკლო და მართალია, ისევ ლიდერია, მაგრამ მდევრებიც ახლოს ჰყავს.

# კარგია, კუპერს დაცვა რომ უყვარს
## საქართველო-რუსეთის კონფლიქტი ყაზანზე არ ვრცელდება

— რატომ ველარ იგებს „რუბინი“?

— გუნდში თითქოს ყველაფერი ნორმალურადაა, ტრავმირებულებიც არ გვყავს, მაგრამ ბოლო დროს ისე მაგრად ველარ ვთამაშობთ. საბედნიეროდ, მდევრებიც კარგავენ ქულებს და ისევ პირველზე ვართ.

— ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რუსეთში ლიდერ-აუტსაიდერი საერთოდ არ გაირჩევა.

— დიახ, ასეა. მგონი, ასეთი თანაბარი დონის ჩემპიონატი არსად არ არის. აი, წინა ტურშიც ერთ-ერთ აუტსაიდერ „ლუჩ-ენერგიასთან“ ფრე ძლივს გავახერხეთ, ბოლო წუთებზე გავათანაბრეთ. ასევე არიან „ამკარი“, „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“, „ზენიტი“ — თუ იგებენ, დიდი შრომის ფასად. ის კი არა, ბოლოს ისინიც ვერ იგებენ.

— და მაინც, „რუბინის“ მიზანი, ალაბთ, მხოლოდ ჩემპიონობაა.

— თავიდან ჩემპიონობა არ გვქონდა მიზნად, მაგრამ ეშხში შევედით. ისე, არც უეფას თასზე გასვლა იქნება ტრაგედია.

— ბოლო მატჩებში რეგულარულად თამაშობ, არადა, მანამდე არცთუ ხშირად გენდობოდნენ...

— ვფიქრობ, ცუდად არ ვთამაშობ. აქ დიდი კონკურენციაა. ძირითადში ერთი-ორ ფეხბურთელს თუ აქვს ადგილი გარანტირებული. მწვრთნელი ყურბან ბერდიევი ხან სერგეი რებროვს და სავო მილოშევიჩსაც არ ათამაშებს ხოლმე, როტაციას მიმართავს.

— არც დავით კვირკველია ჩანს ბოლოს თამაშებში. რატომ?

— უბრალოდ, არ დააყენა ბოლო თამაშებში. დათო დიდი ძალაა „რუბინისთვის“, ისევ ათამაშდება.

— შენ დაცვაში რა ადგილას თამაშობ?

— ცსკა-სთან მარცხნივ ვიყავი. აქ ადრეც მითამაშია მარცხენა მცველად, ნაკრებში კი — არასოდეს. ბოლოს „ლუჩ-ენერგიასთან“ კი მარჯვნივ დამაყენეს. საერთოდ, დაცვაში არც ერთ ადგილზე არ მიჭირს. მწვრთნელი სადაც გეტყვის, იქ უნდა ითამაშო — მე ასე მესმის.

— „რუბინის“ ლიდერად ვინ ითვლება?

— უფრო სერგეი სემაკი. ის რუსეთის ნაკრებშიც და ჩვენთანაც კაპიტანია, ევროპის ჩემპიონატზეც კარგად ითამაშა.

— და მთლიანად რუსეთის პრემიერლიგაში ვის თვლი საუკეთესო ფეხბურთელად?

— ბევრი კარგი ფეხბურთელია. მარტო ის რად ღირს, რომ ბრაზილიის ნაკრების მოთამაშეები არიან აქ, მაგრამ ანდრეი არშავინს გამოვარჩევ. უახლოესი მატჩი სწორედ „ზენიტთან“ გვაქვს. უკვე ბევრჯერ მომიწია მის წინააღმდეგ თამაში და ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

— ყაზანში ქართველები რამდენად უყვართ?

— დიდ პატივს სცემენ. ამას განსაკუთრებით მაშინ გრძნობ, როცა საქათრველო-რუსეთს შორის სიტუაცია მწვავდება ხოლმე. ამ დროს ყველა მხარში გვიდგას, სასიამოვნო სიტყვებს გვეუბნებიან.

— ეს ძალიან კარგია. ისე, ყაზანში ჰოკეი ფეხბურთზე პოპულარულია?

— არა. მართალია, „აკ ბარსი“ ერთ-ერთი საუკეთესოა რუსეთის ჰოკეის ლიგაში, მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია...

— საქართველოს ნაკრებზეც გკითხავ: ახალი მწვრთნელი გვყავს — რას იტყვი მასზე?

— ექტორ რაულ კუპერი რომ სახელიანი და მცოდნე სპეციალისტია, ამას ჩემი მტკიცება რად უნდა. უმაღლესი დონის მწვრთნელი გვყავს და ახლა ყველაფერი ჩვენზეა, მხარში უნდა ამოვუდგეთ. გამიხარდა, კუპერი რომ დანიშნეს.

— კუპერის საწინააღმდეგოც მოვისმინეთ: კერძოდ, დაცვითი სტილის მიმდევარია და ეს ქართულ ფეხბურთს არ შეესაბამებაო. მეორეც, ქართულ ფეხბურთს არ იცნობსო...

— პირიქით, სწორედ ეგაა კარგი, რომ დაცვას აქცევს დიდ ყურადღებას. საქართველოს ნაკრებს ბევრჯერ წაუგია იმის გამო, რომ მცველები წინ მირბიან და უკან ზონები თავისუფალი რჩება. ძლიერი დაცვიდან იწყება გუნდის შენება — ასეა ყაზანის „რუბინშიც“. რაც შეეხება ქართული ფეხბურთის გაცნობას, მწვრთნელია და მისი სამუშაოც ესაა, რომ გაიგოს ყველაფერი. ასე თუ ავიღებთ, არც გუს ჰიდინკი იცნობდა რუსეთის ნაკრებს და შედეგი ვერ მიიღო?

— უელსთან მატჩისთვის გამოგიძახეს ნაკრებში?

— დიახ. მე და დათო კვირკველია მივდივართ. რაც შეეხება ნუკრი რევიშვილს, ის მოწამლული იყო და ამის გამო თასზე ვერ ითამაშა — თუმც ახლა დაიწყო ვარჯიში. ჩვენთან, ძირითად გუნდთან ერთად ემზადება, თუმც თამაში დუბლებში უწევს.

**ილია ნანობაშვილი**

# იბერიამ სომხებს პოლი-პექნიკურად მოუგო

საქართველოს ფუტსალის ჩემპიონი „იბერია 2003“ გუშინწინ და გუშინ თბილისში სომხურ „პოლიტექნიკს“ გაეჯიბრა ამხანაგურად და ორივეში გამარჯვება მოიპოვა. პირველ მატჩში ქართველებმა მეზობლებს 4:1 სძლიეს. თბილისელთაგან თავი სამჯერ გოგა ზოიძემ გამოიჩინა, ერთიც ბრაზილიელმა დოდო დაკოსტამ შეაგდო. სომხებიდან ერთადერთი გოლი გრიგოლ ბარგასიანის ანგარიშზეა. გუშინდელი მატჩი უფრო მსუყე სხვაობით მოიგეს იბერიელებმა — 7:2.

კვლავ გაიტანეს ზოიძემ და აკოსტამ. მათ დუბლები გაიფორმეს. კიდევ ერთი დუბლი და სილვამ გაახერხა, ერთი გოლი კი ალექსანდრე ძაბირაძემ შეაგდო.

„პოლიტექნიკიდან“ გოლები ნავიზ კარაკასიანმა და არტურ კარუკრანიანმა გაიტანეს.

**ლუკა თალაკვაძე**

# ვის სცალია კუპერის პრეზენტაციისთვის...

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელი, თუმცა კი ფეხბურთის ფედერაციასთან უკონტრაქტო არგენტინელი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი საპრეზენტაციოდ თბილისში ორი-სამი დღის წინ უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ ის ჩვენკენ ჯერაც არ გამომგზავრებულა.

როდის ჩამოვა კუპერი თბილისში, ეს ამბავი ჩვენთვისაც უცნობია და ამ კითხვაზე ზუსტად ვერავინ გვპასუხობს, მხოლოდ ერთი გავიგეთ, რომ არგენტინელი ტექნიკური მიზეზების გამო არის შეყოვნებული...

ისე კი, ჩვენს ქვეყანაში ომია და სულაც არ არის გამორიცხული, დღეს-ხვალ თბილისის საერთაშორისო აეროპორტი დროებით დაიხუროს კიდეც. ვნახოთ, ეგებ ასეთ ვითარებაში მწვრთნელის ჩამოსვლაც უდროოა, ახლა კონტრაქტებისთვის და მით უმეტეს, პრეზენტაციისთვის არავის სცალია.

**კობა ინასარიძე**

# გოცირიძემ თანაგუნდელებს ბოლნისში ჩააკითხა

**ორი** დღის წინ „სარბიელში“ ამერელი რევაზ გოცირიძის ბოლნისის „სიონში“ შესაძლო ტრანსფერზე ვწერდით და გუშინ ეს ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა დაგვიდასტურა, გვითხრა, მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და „ამერმა“ „სიონში“ ზამთრამდე გამანათხოვრაო.

შეგახსენებთ, რომ ბოლნისელებმა გოცირიძემდე რამდენიმე ამერელი შეიმატეს — ზურაბ ქვაჩახია, გივი დიდავა, ვლადიმერ კაკაშვილი, არჩილ ალავიძე და სულიკო დავითაშვილი.

**ნუკრი ლოლაძე**

ფეხბურთის კლუბი „ამერი“ იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა კლუბის 17-წლამდელთა გუნდის მეკარე
**აჩიკო ნონიაშვილი**
და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს

### ამხანაგური მატჩები

ფროზინონე 1:2 ნაპოლი
ბურსა 0:0 გალათასარაი
ფეროლი 2:3 სარაგოსა
სანტა ფე 1:2 რეალი
ჰერაკლესი 0:0 ქსანთი
ინტერი 0:0 სევილია
სპარტა (რ) 1:6 მიდლსბრო
ექსელსიორი 0:7 ფეიენოორდი
აეკ 1:0 ბოლტონი
ლოკერენი 0:1 მეხელენი
სტოკი 2:2 ოსასუნა
აიაქსი 2:3 არსენალი
ლივერპული 1:0 ლაციო

### საფრანგეთი

II დივიზიონი. II ტური

ბასტია 0:0 ანჟერი
ბულონი 2:0 გენგამი
ბრესტი 2:2 კლერმონი
შატორუ 0:1 ტრუა
რეიმსი 1:3 აიაჩო
სედანი 2:1 ნიმი
დიჟონი 1:3 სტრასბური
მეცი 1:0 ტუარი
მონპელიე 2:1 ამიენი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. III ტური

შო დე ფონი 0:2 ვინტერთური

### სლოვაკეთი

I ლიგა. IV ტური

დუნაისკა სრედა 1:3 კოშიცე

### ჰოლანდია

II დივიზიონი. I ტური

ჰაარლემი 2:1 ოსი
ზვოლე 0:0 მაასტრიხი
ვეენდამი 0:3 კამბური
ალმერე 1:2 როზენდალი
დორდრეხტი 2:0 ეინდჰოვენი
დენ ბოსხი 1:1 ვალვაიკი
ექსელსიოლრი 0:1 ტელსტარი
ვენლო 5:0 იგლსი
სიტარდი 1:2 ემენი
ჰელმონდი 1:2 აპელდორნი

### გერმანია

თასის 1/16 ფინალი

ტრირი 1:3 ჰერტა
აუე 0:0 (5:4პ) ზანკტ პაული
ფრანკფურტი 2:0 ოსნაბრიუკი
ოფენბახი 1:0 ფიურტი
მიუნსტერი 0:0 (5:6პ) ბოხუმი
უნტერჰახინგი 0:2 ფრაიბურგი

### ინგლისი

კონფერენს ლიგა. I ტური

ბაროუ 3:0 ოქსფორდი

### შვედეთი

სუპერეტა. XVIII ტური

ჰეკენი 1:1 ქვიდინგი

### ავსტრია

ბუნდესლიგა. VI ტური

ლინცერი 2:1 რიდი

I დივიზიონი. V ტური

აუსტრია (ლ) 2:3 ტიროლი
აუსტრია (მ) 1:1 ვიოკლაბრუკი
ზალცბურგი (მ) 2:1 ადმირა
სენტ პოლტენი 3:0 ლუშტენაუ
გრიოდიგი 2:2 ლეობენი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XII ტური

ბრეი 0:0 სლიგო
კორკი 0:1 ბოჰემიანსი
გალვეი 1:2 დუბლინი
შემროკი 0:2 ფინ ჰარპსი

### უკრაინა

ვიშა ლიგა. IV ტური

დნიპრო 0:0 შახტარი

### პოლონეთი

I ლიგა. I ტური

ლეხი 2:3 ბელხატუვი
ლეგია 2:2 პოლონია

### ბრაზილია

სერია A. XVIII ტური

კრუზეირო 2:0 ინტერნასიონალი
ფიგეირენსე 1:2 ბოტაფოგო
პალმეირასი 3:0 ვიტორია

# ოლიმპიური კენჭი ძიუდოში დღეს ნესტორ ხერგიანი იწყებს



ნესტორ ხერგიანი

**გუშინ** 29-ე ოლიმპიური თამაშები ოფიციალურად გაიხსნა. სპორტული შეჯიბრებებიც ნელ-ნელა ეშხში შედის. დღეს კი საქართველოს ოლიმპიური გუნდიდან პეკინის ოლიმპიადაზე პირველი ძიუდოისტი ნესტორ ხერგიანი (60 კგ) წარდგება.

კენჭისყრის შემდეგ ძიუდოისტების მეტოქეები გაირკვა: ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი და ერთ-ერთი გამოცდილი ქართველი ოლიმპიელი ნესტორ ხერგიანი პირველ წრეში ფრანგ დიმიტრი დრაგინს შეხვდება.

ფრანგის ძლევის შემთხვევაში მისი მეტოქე მონღოლ ცააგანბატარ ჰაშბაატარსა და ისრაელელ გალ იეკუტიელს შორის გამარჯვებული იქნება. ხერგიანის ბადეში ასევე არიან: მოქმედი ევროპის ჩემპიონი, ავსტრიელი ლუდვიგ პაიშერი, ბრიტანელი კრეიგ ფალონი, რუსი რუსლან აიშმაროვი და სომეხი ოვანეს დავთიანი.

მეორეში არიან: მსოფლიოს ჩემპიონი, ჰოლანდიელი რუბენ ჰოუკსი, ჩეხი პაველ პეტრაკოვი, ლიტველი ალბერტ ტეხოვი, ბერძენი ლავრენტიოსი. ასევე მეორე ბადეშია იაპონელი ჰირაოკო ჰიროაკი.

ევროპის სამგზის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი (66 კგ) პირველ წრეში დაისვენებს და მერე ჩინელ სიტუ-ბილიგე აუსა და უნგრელ მიკლოშ უნგვარს შორის უკეთესს დაუპირისპირდება. აქვე ვთქვათ, რომ ზაზამ წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ლისაბონში სწორედ უნგვარი წააქცია.

ჩვენებურის ბადეში არიან: ბრაზილიელი ჟოაო დერლი, ვინც 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონია, რუსი ალიმ გადოვი, აზერბაიჯანელი რამილ გასიმოვი, პორტუგალიელი პედრო დიასი და ფრანგი ბენჟამინ დარბელე. დარბელეს კედელაშვილმა წლევანდელ თბილისის მსოფლიოს თასზე ფინალი მოუგო.

მეორე მხარეს იჭიდავებენ: იაპონელი ოლიმპიური ჩემპიონი მასატო უჩიშიბა, მსოფლიოს ვერცხლის მფლობელი კუბელი იორდანის აბენჩიბია.

დავით ქევხიშვილის (73 კგ) მეტოქე მოლდოველი სეგიუ ტომა იქნება და თუ მოუგო, კუბელ რონალდ ჟირონესსა და ჩრდილოკორეელ სუ ჩოლ კიმს შორის გამარჯვებულს დაუდგება.

ქევხიშვილის სავარაუდო მეტოქეები არიან: აზერბაიჯანელი ელნურ მამადლი, ბელგიელი დირკ ვან ტიჩელი და იაპონელი იუსუკ კანამარო.

81 კგ-ში, რომელშიც ოლიმპიადაზე წამსვლელი ძიუდოისტი თითქმის ბოლო მომენტში გაირკვა, კენჭისყრა საჩვენოაო, ნამდვილად ვერ ვიტყვით.

საბა გავაშელიშვილი საწყის წრეში მოქმედ ევროპის ჩემპიონ ჟოაო ნეტოს (პორტუგალია) დაუპირისპირდება. ზაზას ბადეში არიან: ფრანგი ენტონი როდრიგესი, იტალიელი ჯუზეპე მადალონი და ჰოლანდიელი ჟილომ ელმონი.

გვარიანად ძლიერი ბიჭები მოგროვდნენ მეორე ბადეში, რომელშიც პირველივე წრეში მსოფლიოს ჩემპიონი ტიაგო კამილო (ბრაზილია) და იაპონელი ტაკანო ონო დაეჭიდებიან. აქვე არიან რუსი ბაშკაევი, გერმანელი ოლე ბიშოფი...

ძალიან საინტერესოა 90 კგ კატეგორია, რომელშიც ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი (2007) გამოდის — ირაკლი ცირეკიძე და საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ოლიმპიური ჩემპიონი ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური). აქვე არიან აზერბაიჯანელი ელჰან მამადოვი, ბრიტანელი უინსტონ გორდონი, იაპონელი ჰიროში იზუმი, იტალიელი რობერტო მელონი, უკრაინელი ვალენტინ გრეკოვი...

ცირეკიძე თავიდან დაისვენებს, მერე კი, ან კორეელ სუნო ჩოის, ანაც ეგვიპტელ ჰეშამ მესბას შეხვდება.

ოლიმპიადაზე დებიუტი ექნება ლომერ ჟორჟოლიანსაც (100), ვინც გამოცდილ პეტერ კუზინს (ბრიტანეთი) შეხვდება.

ამ წონაში გამოვლენ ისეთი ცნობილი ძიუდოისტები, როგორიცაა: ბრაზილიელი ლუჩიანო კორეა, ჰოლანდიელი ჰენკ გროლი, ფრანგი ფრედერიკ დემონფუკო, გერმანელი ბენჟამინ ბერლა...

მძიმეწონოსანი ლაშა გუჯეჯიანი პირველ წრეს გამოტოვებს და მერე კი გუამელ ძიუდოისტ რიკარდო ბლაზის გაეჯიბრება.

გუჯეჯიანის ბადეშია რუსი ტამერლან ტმენოვი, ჰოლანდიელი დენის ვან დერ გეესტი, იტალიელი ბიანკეზი. როგორც ვთქვით, პირველ დღეს ნესტორ ხერგიანი იჭიდავებს, შემდეგ კი წონების მიხედვით, ყოველდღე ერთი ჩვენებური გავა ტატამზე და ძიუდოისტთა შეჯიბრი 15 აგვისტომდე გასტანს.

**ლაშო მაისურაძე**

# პეკინში ანდრადეს და ტატოს ვეჩხუბებით

**გუშინ** პეკინში გამართული კენჭისყრის შემდეგ მოკრივეების მეტოქეები გაირკვა. როგორც იცით, ქართველებიდან ნიკოლოზ იზორია (57 კგ) და კახაბერ ჟვანია (64 კგ) გამოდიან ოლიმპიადაზე. ჟვანია 10 აგვისტოს ამერიკელ დემეტრიუს ანდრადეს ეჩხუბება და გამარჯვების შემთხვევაში ნამიბიელ მუჯანჯე კასუტოსა და რუს ანდრეი ბალანოვს შორის მოგებულს ეკრივება. ამ წონაში სულ 29 მოკრივეა თავმოყრილი.

ნიკოლოზ იზორია რინგზე 11 აგვისტოს გავა და ზოსტვანელ ტატო ბატშეგის დაუდგება.

იზორია, რომელმაც ათენში ორი წრე გაიარა, თუ ახლა ტატოს მოუგებს, მაშინ ან ყაზახ გალიზ ჯაფაროვს დაუპირისპირდება, ანაც აზერბაიჯანელ შაჰინ იმრანოვს. აქ 28 მოკრივე შეეცილება ერთმანეთს მედლებს.

**ლაშო მაისურაძე**



# კოკოშკოვი ცამეტს თორმეტში იტყვის

**დღეს** საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა დიღომში მდებარე „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე ღია ვარჯიში ჩაატარა. ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელმა, სერბმა იგორ კოკოშკოვმა ნაკრების კანდიდატები ტრადიციულად ხანგრძლივად და სრული დატვირთვით ავარჯიშა.

მის განკარგულებაში 16 კალათბურთელი იყო: მიხეილ ბერიშვილი, ზვიად ბაბიაშვილი, ვიქტორ სანიკიძე, ანატოლი ბოისა, ლაშა გამყრელიძე, კოტე ტუღუში, ბესიკ ლეჟავა, გიორგი ცინცაძე, სერგო ათუაშვილი, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, დავით უგრეხელიძე, ვლადიმერ ბოისა, ნიკა მეტრეველი, კონსტანტინე ტომარაძე, ტაირონ ელისი, თორნიკე შენგელია.

ნაკებში ელიან გიორგი შერმადინსა და ლევან შენგელიას, რომლებიც ახლა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე თამაშობენ და თბილისში 11 აგვისტოს დაბრუნდებიან. ვარჯიშის დასრულების შემდეგ იგორ კოკოშკოვი პრესის წარმომადგენლებს გაესაუბრა და ჩვენ მის რამდენიმე საინტერესო განცხადებას შემოგთავაზებთ.

„გუნდი შენების პროცესშია. ინტენსიურად ვვარჯიშობთ და ვიმედოვნებ, მალე სასურველ ფორმას მივაღწევთ. 11 აგვისტოს შემოგვიერთდებიან ახალგაზრდული ნაკრების წევრები, რომლებსაც გამოვცდი და მერე იმ 13 მოთამაშის ვინაობას დავასახელებთ, რომლებსაც უკრაინასა და ავსტრიაში წავიყვანთ“.

„ჩვენმა მეტოქეებმა უკვე დაიწყეს მზადება. შვედეთის ნაკრებმა ამ დღეებში ამხანაგური მატჩები გამართა ლატვიასთან. ამ თამაშების ვიდეოჩანაწერს ლატვიის ნაკრების მწვრთნელი, ნენად ტრაიკოვიჩი გამომიგზავნის, რომელიც ჩემი მეგობარია. სხვათა შორის, ტრაიკოვიჩმა მითხრა, რომ შვედებს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე სერიოზულად დაუშავდათ, რაც ჩვენი ნაკრებისთვის კარგი ინფორმაციაა“.

ზაზა ფაჩულიას ახლახანს ველაპარაკე, მოვიკითხე, მანაც იკითხა აქაური ამბები. რაც შეეხება ჩვენს შეთანხმებას, მისი ნაკრებში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ის ისევ ძალაში რჩება. ანუ ზაზას 17 აგვისტოსთვის ველით.

**ირაკლი პერტაია**



# ფარღალავამ და ერქვანიამ უნივერსიტეტში ჩააბარეს

**ქართველი** კალათბურთელები ლაშა ფარღალავა და გიორგი ერქვანია, რომლებიც აქამდე ამერიკის კოლეჯის საკალათბურთო ლიგაში თამაშობდნენ, განახლებულ სეზონში ამერიკის საუნივერსიტეტო ლიგაში გამოვლენ.

ფარღალავა ჰავაის უნივერსიტეტის მაისურას მოირგებს, ერქვანია — ფლორიდის უნივერსიტეტის გუნდისას. დასრულებული სეზონი ორივემ ფლორიდის შტატის პენსაკოლას კოლეჯში გაატარა.

ისიც ვთქვათ, რომ ლაშა ფარღალავა ეროვნული ნაკრების გაფართოებულ სიაშიც იყო, მაგრამ ჰავაის უნივერსიტეტში აბარებდა გამოცდებს და თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლო.

**ლაშო მაისურაძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge